დანართი №6

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოლაჯურის საჯარო სკოლის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:

ქეთევან ბოტკოველი -ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი.

წევრი:

ზაზა ჭანტურია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი.

ნაწილი I. შესავალი

ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატება

☐ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა

☐ იმავე მუნიციპალიტეტში ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მისამართის/ფართის ცვლილება

☒ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☒ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოლაჯურის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	222727985

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	დაბა ადიგენი
ფაქტობრივი მისამართი	ადიგენის მუნიციპალიტეტი სოფელი ბოლაჯური
საფოსტო ინდექსი	0300
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://skolebi.emis.ge/
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	bolajuri@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი (არსებობის შემთხვევაში)	568901718

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 7 25 0001553678, 06.11.2025
ვიზიტის თარიღი (არსებობის შემთხვევაში)	2025 წლის 2-3 დეკემბერი

VI. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2025 წლის 6 ნომბრის MES 7 25 0001553678 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს - თავმჯდომარე ქეთევან ბოტკოველი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი) და წევრი ზაზა ჭანტურია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი) — დაევალა ავტორიზაციის დებულების მე-5 მუხლის მეორე პუნქტით განსაზღვრული "ა", "გ" და "დ" ავტორიზაციის სტანდარტების შესაბამისობის შეფასება გეგმიური მონიტორინგის ვიზიტით, სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოლაჯურის საჯარო სკოლაში (ს/კ: 222727985) 2025 წლის 02 და 03 დეკემბერს. ბრძანების შესაბამისად, განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტებმა განახორციელეს ადგილზე შეფასების

პროცესი საჯარო სკოლაში. ვიზიტამდე, სრულფასოვანი შეფასების უზრუნველსაყოფად, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განსაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, გამართა რამდენიმე ონლაინშეხვედრა, სადაც შეთანხმდა შეფასების მიდგომა და დაზუსტდა ადმინისტრაციული წარმოების დღის წესრიგი. აღნიშნული გეგმა წინასწარ გადაეგზავნა დაწესებულებას და ვიზიტი განხორციელდა სწორედ ამ გეგმის შესაბამისად.

ვიზიტის ფარგლებში, ექსპერტებმა განახორციელეს შეხვედრები სკოლის ადმინისტრაციასთან, პედაგოგებთან და მოსწავლეებთან, ასევე დაათვალიერეს სკოლის მატერიალურ-ტექნიკური რესურსი და შეაფასეს დაწესებულების ფაქტობრივი მდგომარეობა. შეფასების პროცესი წარიმართა თანამშრომლობის და კეთილგანწყობის გარემოში - დაწესებულებამ ხელი შეუწყო ექსპერტთა საქმიანობას და უზრუნველყო შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენა. დასკვნით ეტაპზე, ვიზიტის შედეგების პრეზენტაციისას, ექსპერტებმა წარმოადგინეს დოკუმენტური ანალიზისა და გასაუბრებების შედეგად ჩამოყალიბებული მიგნებები, რომლებზეც მიეწოდათ ინფორმაცია დაწესებულების წარმომადგენლებს ვიზიტის დასრულებისას.

VII. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა
150	**95**

VIII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

IX. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის გაცნობის შედეგად ექსპერტთა ჯგუფი ნაწილობრივ დაეთანხმა სკოლის პოზიციას. კერძოდ:

სკოლის პოზიცია - დასკვნის პროექტში ექპერტების ჯგუფის მიერ მითითებულია, რომ დაწესებულებას, ელ-ფოსტა არ აქვს, სკოლის ელ-ფოსტის მისამართია -bolajuri@mes.gov.ge, ხოლო, დაწესებულების ტელეფონის ნომერია- 568901718; -

ექსპერტთა პოზიცია -ეს ტექნიკური ხარვეზი აღმოიფხვრა და საინფორმაციო ნაწილში მიეთითა შესაბამისი ინფორმაცია.

სკოლის პოზიცია - ინდიკატორი N.1.1.1 ექპერტთა ანალიზით სკოლის მისია და ხედვა ნაკლებადაგამიჯნული ერთმანეთისგან, მსგავსი ფორმულირების გამო ხდება ორი დოკუმენტის შინაარსობრივი გადაკვეთა, სკოლას მიეცა რეკომენდაცია დოკუმენტის განახლება გაუმჯობესების, სსიპ ბოლაჯურის სასკოლო საზოგადოება მიიჩნევს რომ მისია ასახავს სკოლაში მიმდინარე რეალურ პროცესებს, ასევე მისია აღწერს დანიშნულებას და როლს, რომლებითაც იმართება სასწავლო პროცესი და იმ პრინციპებს რომლითაც მოქმედებს ადმინისტრაცია, მასწავლებლები, მთელი სასკოლო საზოგადოება, ხედვაში კი განსაზღვრულია სკოლის მომავალი რამდენიმე წლის პერსპექტივაში, როგორ უნდა განვითარდეს სკოლა და რა სოციალური პროგრესი უნდა განიცადოს მან, რა სტრატეგიული მიმართულებით უნდა განვითარდეს სამომავლოდ. მისია და ხედვა ერთმანეთისგან გამიჯნულია, ნაწილობრივ თანხვედრაა ფრაზებში, რადგან მისია ყოველთვის წარმოადგენს ხედვის საფუძველს, ხედვა მისიაზეა დაფუძნებული, ძირითადი ღირებულებები შესაძლოა ორივე დოკუმენტში ეწეროს, რაც განსაზღვრულია სტანდარტითაც.

ექსპერტთა პოზიცია - პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ ექსპერტთა მიერ გაცემული იყო რჩევა და არა რეკომენდაცია, თუმცა ექსპერტები ამ ნაწილში რჩებიან თავის პოზიციაზე და თვლიან, რომ ხედვაში ნაკლებად იკითხება სკოლაში მიმდინარე პროცესებისგან მკაფიოდ გამიჯნული მომავლის სურათი და სასურველია ხედვა ასახავდეს - სკოლის მიზნობრივ მომავალს 5–10 წლის პერსპექტივაში, როგორც ზოგადსაგანმანათლებლო, ისე პროფესიული პროგრამების მიმართულებით, რაც გახდება საფუძველი სტრატეგიული

დაგეგმვისა და მონიტორინგისთვის. ასეთი განახლება გააუმჯობესებს დოკუმენტის სიზუსტეს, სტრუქტურულად გამოკვეთავს სკოლას როგორც ორმაგი პროფილის მქონე მრავალფუნქციურ დაწესებულებას და უზრუნველყოფს მისიასა და ხედვის გამოყენებას რეალური სტრატეგიული მართვის იარაღად, რაც გაუმარტივებს როგორც ზოგადი, ისე პროფესიული პროგრამების ხარისხის შეფასებას და განვითარებას.

სკოლის პოზიცია - ინდიკატორი 3.1.2.5 პერსონალის მართვის პოლიტიკა და კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს, სკოლას მიეცა რეკომენდაცია გამოიყენოს ფორმალური ინსტრუმენტები, სკოლაში ამგვარი ინსტრუმენტები უკვე დანერგილია და აქტიურად გამოიყენება პრაქტიკაში, ამას მოწმობს მასწავლებლების პორტფოლიოში არსებული "კრიტიკული მეგობრის "ინსტრუმენტის ჩანაწერები და საგაკვეთილო დაკვირვებების ანალიზის ამსახველი დოკუმენტაცია.

ექსპერტთა პოზიცია - ექსპერტთა მიერ გაცემულ **რჩევაში და არა რეკომენდაციაში ნათქვამია,** რომ სასურველია აღნიშნული თანამშრომლური პრაქტიკების უფრო ფორმალური ინსტრუმენტებით გაძლიერება - მაგალითად, **მიზნობრივი შეხვედრების გეგმებით,** მონაწილეობის ფიქსირებული ფორმებით ან **ერთობლივი სამუშაოს შედეგების დოკუმენტირებით.** ეს ნაბიჯი გააძლიერებს სკოლის შიდა მართვის მექანიზმებს და კიდევ უფრო გააუმჯობესებს ხარისხის უზრუნველყოფის პროცესს.

სკოლისს პოზიცია - დაწესებულებამ მიიღო რეკომენდაცია **ინდიკატორი 3.2.1.2** სკოლამ განსაზღვროს პროფესიული განვითარების პროცესში შესაძლო გამოწვევები და შექმნას სისტემური მონიტორინგისა და გაკვეთილზე დასწრების გეგმა, სკოლის დირექცია ამგვარ გეგმას აწარმოებს 2023 წლიდან და სისტემატიურად ხდება არამხოლოდ გაკვეთილების მონიტორინგი, არამედ მასწავლებლის საქმიანობის ამსახველ ყველა პრაქტიკულ აქტივობაზე (პროექტების შეჯამება, სასკოლო ღონისძიებები, გასვლითი აქტივობები) დაკვირვება და მონიტორინგი, აღნიშნული საქმიანობა ხორციელდება წინასწარ შედგენილი გეგმის შესაბამისად. (მტკიცებულება: გაკვეთილების ჩატარების განრიგის დოკუმენტი).

ექსპერტთა პოზიცია - მიუხედავად იმისა, რომ სკოლაში აქტიურად მიმდინარეობს გაკვეთილებებზე დასწრება თუ პროექტების შეჯამება, რასთან დაკავშირებითაც სკოლამ წარმოადგინა შესაბამისი ანგარიშები, სკოლას არ წარმოუდგენია რისკ-ფაქტორები და წინასწარ შემუშავებული გეგმა და განრიგი, თუ რომელ მასწავლებელს და როდის დაესწრება გაკვეთილზე, შესაბამისად **სკოლას მიეცა რჩევა:** სასურველია, სკოლამ განსაზღვროს პროფესიული განვითარების პროცესში შესაძლო გამოწვევები და შექმნას სისტემური მონიტორინგისა და გაკვეთილებზე დასწრების გეგმა. ეს უზრუნველყოფს საქმიანობის შედეგების მიზნობრივ ანალიზს, საჭიროებების დროულ გამოვლენას და თანამშრომელთა პროფესიული მხარდაჭერის ეფექტიან დაგეგმვას, რაც დადებითად აისახება როგორც პროფესიულ ზრდაზე, ისე სკოლაში შიდა მართვის კულტურაზე.

სკოლის პოზიცია - ინდიკატორი 3.4.1.1 შეფასებულია როგორც მეტწილად შესაბამისი-აღნიშნული ხარვეზების აღმოსაფხვრელად სკოლამ უკვე მიმართა შესაბამის სამსახურს შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების დადებითი დასკვნის მოპოვების მიზნით, პარალელურად მიმდინარეობს სახანძრო სიგნალიზაციის გამართვის პროცესი. (მტკიცებულება: სკოლის განცხადება)

ექსპერტთა პოზიცია - რამდენადაც სკოლას ამ ეტაპზე არ აქვს მოპოვებული შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული დადებითი დასკვნა, ექსპერტთა მიერ გაცემილი

შესაბამისობის რეკომენდაცია ძალაში რჩება -სკოლამ უზრუნველყოს შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადებითი დასკვნის მოპოვება გეგმით განსაზღვრულ ვადაში (2026, 1 იანვარი).

სკოლის პოზიცია - ინდიკატორი 4.2.1.1 ექპერტთა ანალიზში მითითებულია, რომ სკოლას არ აქვს ადაპტაციის მექანიზმი დოკუმენტის სახით, თუმცა სკოლის დირექციამ ეს დოკუმენტი წარმოადგინა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში ექპერტთა ვიზიტის განხორციელებამდე, წერილით N1657848 სკოლის სხვა დოკუმენტაციასთან ერთად.

ექსპერტთა პოზიცია - არსებული ტექნიკური ხარვეზი დასკვნაში შეიცვალა და გასწორდა, რამდენადაც სკოლას ნამდვილად აქვს წარმოდგენილი შესაბამისი მექანიზმების დოკუმენტი.

სკოლის პოზიცია -ინდიკატორი 4.2.3 ექპერტთა ანალიზის თანახმად, სკოლას აქვს მულტიდისციპლინურიგუნდის დასკვნა, რომლის რეკომენდაციების საფუძველზე მოსწავლეებს (ორი მოსწავლე-ძმები) სჭირდებათ ინდ. სამოქმედო გეგმით მუშაობა, თუმცა გამომდინარე იქიდან რომ მულტიდისციპლინური დასკვნა არის ძველი (2021 წელსაა დაწერილი) მოსწავლეები საჭიროებენ გადაფასებას, აქედან გამომდინარე ექსპერტებმა მიიჩნიეს რომ სკოლის მიერ მომზადებული გეგმები ვერ ჩაითლება რელევანტურად და არ შეესაბამება მოსწავლეთა საჭიროებებს, აღნიშნული მოსაზრების საპასუხოდ სკოლა წარმოგიდგენთ დასაბუთებულ პოზიციას, მოსწავლეები ვერ გადაფასდნენ ამ დრომდე რადგან მშობელს არ მიუმართავს სკოლისთვის მოსწავლეების გადაფასების თაობაზე, მიუხედავად იმისა რომ სკოლის დირექციამ მიმართა არაერთ ღონისძიებას მშობლის ინფორმირების მიზნით, დღემდე არ გვაქვს მშობლისგან ოფიციალური წერილობითი მიმართვა, რის საფუძველზეც მოხდება მოსწავლეთა სასწავლო შედეგების გადაფასება. აღნიშნულ პრობლემასა და სხვა პრობლემების თაობაზე, რომელიც აფერხებს მოსწავლეების სასწავლო პროცესებში სრულყოფილად ჩართულობას, სკოლამ უკვე აცნობა ზოგადსაგანმანათლებლო მანდატურის სამსახურს. რაც შეეხება სკოლაში არსებულ ინდივიდუალურ სამოქმედო გეგმებს, შედგენილია სკოლის პედაგოგების მიერ, სკოლის სპეციალური მასწავლებლის ჩართულობით და მივიჩნევთ, რომ აღნიშნული გეგმები შეესაბამება მოსწავლეთა საჭიროებებს. მოსწავლეთა საჭიროებები და შესაძლებლობები შეფასებულია მასწავლებლების მიერ, მრავალჯერადი დაკვირვებისა და შეფასების შესაბამისად. (დანართის სახით წარმოგიდგენთ მიმართვა მანდატურის სამსახურს და სკოლის პედაგოგების მიერ შემუშავებულ ინდ. გეგმის რამდენიმე ნიმუშს).

ექსპერტთა პოზიცია - ექსპერტები გაეცნენ სკოლის პოზიციას, თუმცა რამდენადაც მოსწავლეთა სასწავლო შედეგების გადაფასება ამ ეტაპამდე არ მომხდარა და სკოლას წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმადაც აქტივობები 2026 წლის 30 იანვრამდე განხორციელდება, ინდიკატორის შეფასება რჩება კვლავაც როგორც "მეტწილად შეესაბამება" და გაცემული რეკომენდაციაც ძალაში დარჩა. - **სკოლამ უზრუნველყოს მოსწავლეთა აკადემიური შესაძლებლობების გადამოწმება და პროგრესის ამსახველი სურათის მიღება, რაც საფუძვლად დაედება მასწავლებლების მიერ ინდივიდუალური გეგმების შემდგომ განვითარებას ან რემედიაციული მუშაობის გაგრძელებას.**

სკოლის პოზიცია - ინდიკატორი 4.2.4.3 ექსპერების დასკვნაში აღნიშნულია რომ სკოლა არ სთავაზობს მოსწავლეებს არასავალდებულო ხასიათის მომსახურებას, კლუბებისა და წრეების სახით, სკოლის დირექცია არ იზიარებს ამ მოსაზრებას, რადგან სკოლაში აქტიურად მიმდინარეობს არაფორმალური განათლების ხელშეწყობა, რასაც ადასტურებს სკოლაში არსებული კლუბებისა და უფასო წრეების

რაოდენობა, აღნიშნული ინფორმაცია დადასტურდა მოსწავლეებისა და მშობლების ინტერვიუებშიც. დამატებით წარმოგიდგენთ პრეზენტაციის სახით სამოქალაქო განათლების კლუბის ფარგლებში განხორციელებულ პროექტებს და სტემ კლუბის სამოქმედო გეგმას, ასევე სკოლა აქტიურად თანამშრომლობს რეგიონული განვითარების ფონდათან, რომლის პარტნიორობითაც სკოლაში ფუნქციონირებს ინგლისური ენისა და თეატრალურის წრე, სკოლა აქტიურად მონაწილეობს თეატრალურ ფესტივალებზე. აღნიშნული ინფორმაცია დადასტურდა მშობლებთან და მოსწავლეებთან ინტერვიუებში, ასევე ნათლად ჩანს მოსწავლეების მიერ შევსებული კითხვარის პასუხებშიც. (მტკიცებულებები: 1. კლუბის წესდება, ინფორმაცია პროგრამის შესახებ; განცხადება რეგიონული განვთარების ფონდი)

ექსპერტთა პოზიცია - ინდიკატორის ამ ნაწილში საუბარია გახანგრძლივებულ სწავლებაზე, კვების სერვისზე, ტრანსპორტირების სერვისზე, შემოქმედებით თუ სპორტული წრეებზე, საერთო საცხოვრებლით/პანსიონური მომსახურებით უზრუნველყოფაზე., რომლებიც მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულებით და დამატებითი მომსახურების პროგრამით არის გამყარებული, რასაც სკოლა ამ ეტაპზე არ სთავაზობს მოსწავლეებს. **უფასო წრეებზე და კლუბებზე საუბარია ინდიკატორში - 4.2.1.5.**

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6	☒ შეესაბამება

საინფორმაციო რესურსები	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	**☐ შეესაბამება** **☒ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული	*ხარვეზი*

	და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	
ინდიკატორი N...		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	***ხარვეზი***
ინდიკატორი N....		

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N 3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)	სკოლამ უზრუნველყოს შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადებითი დასკვნის მოპოვება გეგმით განსაზღვრულ ვადაში (2026, 1 იანვარი).
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*

[1] გარდა მეორე სტანდარტის ~~ნაწილობრივი~~ შესაბამისობისა.

ინდიკატორი N 4.2.3.1.	სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი	გააგრძელოს ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელება, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს სსსმ მოსწავლეთა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების ხელახალ შეფასებას მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნების განახლებისა და მოსწავლეთა მიმდინარე საჭიროებების შესაბამისი ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების მიზნით. ამ პროცესში სკოლამ უნდა ითანამშრომლოს სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ინკლუზიური და სპეციალური განათლების მხარდამჭერ ცენტრთან, რათა 2026 წლის 30 იანვრამდე (რაც სკოლას განსაზღვრული აქვს სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით), უზრუნველყოს მოსწავლეთა აკადემიური შესაძლებლობების გადამოწმება და პროგრესის ამსახველი სურათის მიღება, რაც საფუძვლად დაედება მასწავლებლების მიერ ინდივიდუალური გეგმების შემდგომ განვითარებას ან რემედიაციული მუშაობის გაგრძელებას.

V. რჩევები

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი N.1.1.1.1.	სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს	სასურველია მკაფიოდ გაიმიჯნოს მისია და ხედვა - მისია უნდა ასახავდეს დღევანდელ ფუნქციონირებას, ხედვა კი - სკოლის მიზნობრივ მომავალს 5–10 წლის პერსპექტივაში, როგორც ზოგადსაგანმანათლებლო, ისე პროფესიული პროგრამების მიმართულებით. ხედვა უნდა იყოს კონკრეტული და კონცეპტუალურად ჩამოყალიბებული, ის უნდა აღწერდეს სასურველ მომავალ მდგომარეობას, რაც გახდება საფუძველი სტრატეგიული დაგეგმვისა და მონიტორინგისთვის.
ინდიკატორი N.1.1.1.4.	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ	სასურველია სკოლამ აქტიურად გამოიყენოს მის მიერ შემუშავებული კითხვარები, რათა რეგულარულად მიიღოს უკუკავშირი სასკოლო საზოგადოების წევრებისგან.
ინდიკატორი N.1.2.1.1.	სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს	სასურველია სკოლამ დააბალანსოს შეფასების სისტემა ზოგადი განათლების ინდიკატორების (აკადემიური მიღწევები, ეროვნულ გამოცდებზე წარმატება, ზოგადი განათლების მასწავლებლების განვითარება) დამატებით, რათა მონიტორინგი იყოს ჰოლისტიკური და თანაბრად შეაფასოს წარმატება ორივე - როგორ ზოგადი ასევე პროფესიული მიმართულებით.
ინდიკატორი N.1.2.2.1.	სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს	სასურველია მეთოდოლოგიის დოკუმენტის მონიტორინგის ნაწილში დაემატოს ისეთი ინდიკატორები, რომლებიც აღწერს არა მხოლოდ პროფესიული, არამედ ზოგადი განათლების შედეგებსაც. შესაბამისად, მუხლ 4.8-ში (შეფასების ინდიკატორები) რეკომენდებულია დაემატოს შემდეგი რაოდენობრივი მაჩვენებლები:

		• მოსწავლეთა აკადემიური მიღწევები და მათი შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმებთან; • კურსდამთავრებულთა შედეგები ეროვნულ გამოცდებზე; • ზოგადსაგანმანათლებლო მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მაჩვენებლები. ამ დამატებების შეტანა სკოლას საშუალებას მისცემს, მონიტორინგის სისტემა იყოს უფრო სრული და სამართლიანი – შეფასდეს პროგრესი ორივე მიმართულებით: ზოგად და პროფესიულ განათლებაში.
ინდიკატორი N.1.2.2.3.	სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა	სასურველია სკოლამ უზრუნველყოს ანგარიშის დროულად და სისტემატურად გამოქვეყნება ვებგვერდზე, რათა სრულად დაკმაყოფილდეს გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და მონაწილე მხარეების ინფორმირების სტანდარტები.
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N 3.1.2.2.	სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა	სასურველია სკოლამ პრევენციული ღონისძიებების ფარგლებში შეიმუშაოს ადმინისტრაციისა და ტექნიკური პერსონალის შეფასების კრიტერიუმები. აღნიშნული კრიტერიუმები უზრუნველყოფს, რომ ყველა თანამშრომელმა მიიღოს სისტემატური, სამართლიანი და გამჭვირვალე შეფასება, რაც ხელს შეუწყობს პერსონალის პროფესიულ განვითარებას, მიზანმიმართულ მხარდაჭერას და მთლიანად სკოლაში ადამიანური რესურსების მართვის სისტემის ეფექტურობას.
ინდიკატორი N 3.1.2.5.	პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს	სასურველია თანამშრომლური პრაქტიკების უფრო ფორმალური ინსტრუმენტებით გაძლიერება - მაგალითად, მიზნობრივი შეხვედრების გეგმებით, მონაწილეობის ფიქსირებული ფორმებით ან ერთობლივი სამუშაოს შედეგების დოკუმენტირებით. ეს ნაბიჯი

		გააძლიერებს სკოლის შიდა მართვის მექანიზმებს და კიდევ უფრო გააუმჯობესებს ხარისხის უზრუნველყოფის პროცესს.
ინდიკატორი N 3.1.2.6.	**სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**	სასურველია წახალისების მექანიზმი გახდეს უფრო სტრუქტურირებული და დოკუმენტურად გაწერილი. რეკომენდებულია: • განისაზღვროს თანამშრომელთა წახალისების მკაფიო კრიტერიუმები; • დადგინდეს წახალისების გამოყენების პერიოდულობა; • ჩამოყალიბდეს ერთიანი დებულება ან პროცედურა, სადაც დაფიქსირებული იქნება შეფასების საფუძველი, შეჯამების ფორმატი და გადაწყვეტილების მიღების წესები. მოცემული მიდგომა გაზრდის პროცესის გამჭვირვალობას, უზრუნველყოფს თანმიმდევრულობას და ხელს შეუწყობს პროფესიული მოტივაციისა და შიდა მართვის კულტურის გაძლიერებას.
ინდიკატორი N 3.2.1.2	**სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**	სასურველია - ინტეგრაციის ყველა ეტაპი იყოს დოკუმენტურად აღრიცხული, მაგალითად, მენტორის შეფასების, უკუკავშირის ან ადაპტაციის პერიოდული ანგარიშების სახით. ეს უზრუნველყოფს ადაპტაციის პროცესის გამჭვირვალობას, ეფექტურ მონიტორინგსა და სისტემური გაუმჯობესების დაგეგმვის შესაძლებლობას მომავალში.
ინდიკატორი N 3.3.2.1	**სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**	სასურველია სკოლამ შეიმუშაოს პროცედურები უკუკავშირის მიღებისა და რეაგირებისათვის, რაც საშუალებას მისცემს ადმინისტრაციას ეფექტურად გაითვალისწინოს სასკოლო საზოგადოების მოსაზრებები, საჭიროებები და ინიციატივები, გააძლიეროს მართვის პროცესების გამჭვირვალობა და გაზარდოს საზოგადოების ჩართულობა სკოლაში

ინდიკატორი N 3.4.1.8.	სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის	სასურველია უსაფრთხოების შეფასების სტანდარტიზებული მეთოდოლოგიის შექმნა და უსაფრთხოების ინციდენტების რეგისტრაციისა და ანალიზის ჟურნალის დანერგვა. აღნიშნული ღონისძიებები შეუწყობს ხელს პრევენციული ღონისძიებების მიზანმიმართულ დაგეგმვას, პროცესების გამჭვირვალობის გაზრდასა და უსაფრთხოების მექანიზმების ანგარიშვალდებულების განმტკიცებას.
ინდიკატორი N 3.5.1.2.	დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის	სასურველია სკოლამ შეიმუშაოს შესაბამისი პროცედურები და რეგულაციები, რომლებიც განსაზღვრავს რესურსების ტიპებს, გამოყენების წესებსა და პასუხისმგებლობათა განაწილებას, რათა უზრუნველყოს მათი სამართლიანი, ეფექტიანი და უსაფრთხო გამოყენება.
ინდიკატორი N 3.6.3.2	საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად	სასურველია სკოლამ უკუკავშირის მიღებისა და გამოყენების არსებული პრაქტიკა დოკუმენტურად განამტკიცოს. ეს უზრუნველყოფს როგორც მიღებული ინფორმაციის სისტემურ ანალიზს, ისე მიღებულ გადაწყვეტილებებში გამჭვირვალობას. ასევე მიზანშეწონილია მკაფიოდ განისაზღვროს, თუ რა ფორმით და მექანიზმებით გამოიყენება ეს ინფორმაცია სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისთვის. აღნიშნული მიდგომა სკოლას მისცემს შესაძლებლობას უფრო თვალსაჩინოდ წარმოაჩინოს, როგორ რეაგირებს საზოგადოებისგან მიღებულ შეფასებებსა და შეთავაზებებზე.

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	**სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია**	**შესრულების ინდიკატორი**
ინდიკატორი 1.1.1.1	სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, 2023 წლის	შესრულებულია

	განათლების ეროვნულ მიზნებს;	20 ნოემბრამდე შეიმუშაოს მისიის და ხედვის დოკუმენტი, რომელიც შესაბამისობაში იქნება ზგემ–ის დოკუმენტთან	
ინდიკატორი 1.1.1.2.	სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო–კულტურულ სივრცეს;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, 2023 წლის 20 ნოემბრამდე შეიმუშაოს მისიის და ხედვის დოკუმენტი, რომელშიც სკოლა განსაზღვრავს საკუთარ როლს სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო– კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით.	შესრულებულია
ინდიკატორი 1.1.1.4.	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, მისია, ხედვა და ღირებულებები დოკუმენტის მიღების შემდეგ უზრუნველყოს მისი გაზიარება სასკოლო საზოგადოებაში.	შესრულებულია

ინდიკატორი1.2.1.1.	სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, 2023 წლის 20 ნოემბრამდე შეიმუშაოს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედოგეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომლითაც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;	შესრულებულია
ინდიკატორი 1.2.1.2.	სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას).ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, 2023 წლის 20 ნოემბრამდე შეიმუშაოს სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელიც დაეფუძნება სკოლის ფილოსოფიას, მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს.	შესრულებულია
ინდიკატორი 1.2.1.3	სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი.ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, 2023 წლის 20 ნოემბრამდე შეიმუშაოს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც	შესრულებულია

		დაეფუძნება სტრატეგიულ გემას და ყოველწლიურ თვითშეფასებას.	
ინდიკატორი 1.2.1.4.	სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, 2023 წლის 20 ნოემბრამდე შემუშავებულ სამოქმედო გეგმაში განისაზღვროს სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, შესაბამისი რესურსები.	შესრულებულია
ინდიკატორი 1.2.2.1.	სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიაში შეიტანოს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები;	შესრულებულია
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული**	**სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია**	**შესრულების ინდიკატორი**

	და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა		
ინდიკატორი 3.1.1.1.	სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, 2023 წლის 15 ნოემბრამდე შექმნას მრჩეველთა საბჭო	შესრულებულია
ინდიკატორი 3.1.2.2.	სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, 2023 წლის 30 ნოემბრამდე შეიმუშაოს თავისი პერსონალის საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული მართვის პოლიტიკა;	შესრულებულია
ინდიკატორი 3.2.1.1.	სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, 2023 წლის 15 ნოემბრამდე შეიმუშაოს პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;	შესრულებულია
ინდიკატორი 3.2.1.2.	პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმისშესაბამისად;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, 2023 წლის 15 ნოემბრამდე შეიმუშაოს პერსონალის განვითარების საჭიროებათა კვლევის შედეგების საფუძველზე	შესრულებულია

		განსახორციელებელი აქტივობების გეგმა	
ინდიკატორი 3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, 2023 წლის 20 ნოემბრის ჩათვლით ა)მიმართოს შსს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება– საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს საგანგებო მართვის გეგმის შეთანხმებასთან დაკავშირებით. ბ)უზრუნველყოს შენობის კონსტრუქციული მდგრადობის დოკუმენტის მოპოვება	შესრულებულია
ინდიკატორი 3.4.1.7.	სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, 2023 წლის 15 ნოემბრამდე უზრუნველყოს მრჩეველთა საბჭოს შექმნა, ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების გაუმჯობესებისათვის	შესრულებულია

ინდიკატორი 3.6.1.1.	ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულ ფასოვან წარმართვას;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, 2024 წლის 30 ოქტომბრამდე უზრუნველყოს კომპიუტერული ლაბორატორიის შესაბამისი ტექნიკით სრულად აღჭურვა	შესრულებულია
ინდიკატორი 3.6.3.1.	სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, 2023 წლის 30 დეკემბრამდე უზრუნველყოს სკოლის ოფიციალური ვებგვერდის შექმნა	შესრულებულია
ინდიკატორი 3.6.3.2.	სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, 2023 წლის 30 დეკემბრამდე უზრუნველყოს სკოლის ოფიციალური ვებგვერდის შექმნა და მასზედ(მის მიერ განხორციელებული) საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელება	შესრულებულია

ინდიკატორი 3.6.3.4.	სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაციაქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე,რომელზეც ახორციელებს სწავლებას;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, 2023 წლის 30 დეკემბრამდე უზრუნველყოს სკოლის ოფიციალური ვებგვერდის შექმნა	შესრულებულია
ინდიკატორი 3.6.3.5.	ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, 2023 წლის 30 დეკემბრამდე უზრუნველყოს სკოლის ოფიციალური ვებგვერდის შექმნა და მასზედ მისია, ხედვა, ღირებულებების, სკოლის სტრუქტურის, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებების, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურების და მისანიჭებელი კვალიფიკაციის (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნების, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისების,	შესრულებულია

	შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.	გასაჩივრების მექანიზმების, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიშის, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგების და საკონტაქტო ინფორმაციის განთავსება.	
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	**სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია**	
ინდიკატორი 4.2.3.1.	სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, 2023 წლის 30 დეკემბრამდე უზრუნველყოს ინდ.გეგმების შესაბამისობაში მოყვანა ესგ–სა და მულტიდისციპლინური გუნდის მიერ გაცემულ დასკვნებთან	სკოლამ შეიმუშავა სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმად, სკოლა მიმართავს სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ინკლუზიური და სპეციალური განათლების მხარდამჭერ ცენტრს 2 მოსწავლის აკადემიური შესაძლებლობების გადამოწმების მიზნით, რათა გამოჩნდეს

			პროგრესის ამსახველი სურათი, რომელიც საშუალებას მისცემს მასწავლებლებს შეიმუშაონ ინდ გეგმები ან გააგრძელონ მუშაობა რემედიაციით. შესრულების ვადად განსაზღვრულია 2026 წლის 30 იანვარი.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტები)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი მისიაა –ჯანსაღი, კონკურენტუნარიანი ახალგაზრდების სწავლისა და კვლევისათვის აუცილებელი გარემოსა და პირობების შექმნა, მოსწავლეების 21-ე საუკუნის უნარ-ჩვევებით აღჭურვა .სკოლა მოსწავლეებს გონებრივ და ფიზიკურ უნარ-ჩვევებს უყალიბებს, აძლევს საჭირო ცოდნას, ამკვიდრებს ჯანსაღი ცხოვრების წესს, მოსწავლეებს უვითარებს დემოკრატიული კულტურის კომპეტენციებს, უყალიბებს სამოქალაქო ცნობიერებას და ეხმარება მათ ოჯახის, თემის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობების გაცნობიერებასა და საკუთარი როლის განსაზღვრაში, სკოლის მისიაა კვალიფიციური კადრების მომზადება და დასაქმებისთვის საჭირო კომპეტენციების განვითარება მოსწავლეებისა და სტუდენტებისთვის.

სკოლის მომავლის ხედვაა, რომ იგი იყოს მყარი და მუდმივ განვითარებაზე ორიენტირებულ თანამედროვე მოთხოვნათა და გამოწვევათა შესაბამისად, ზრუნავდეს თავისუფალი და კომპეტენტური პიროვნების ჩამოყალიბებაზე, რომელიც იქნება შრომის ბაზრის მოთხოვნების რელევანტური კომპეტენციებითა და უნარ-ჩვევებით აღჭურვილი, კონკურენტუნარიანი და კვალიფიციური. სკოლის ხედვაა პროფესიული სწავლების მიმართულებით, გახდეს ადიგენის მუნიციპალიტეტში წარმატებული დაწესებულება, სადაც ისწავლიან მუნიციპალიტეტში არსებული სხვადასხვა თემში მცხოვრები სტუდენტები, რომელსაც შესთავაზებს ხარისხიან პროფილურ განათლებას და ხელს შეუწყობს კარიერულ წინსვლას და უზრუნველყოფს შრომის ბაზარს კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური კადრებით ადგილობრივ კერძო და საჯარო ორგანიზაციებში.

სკოლის მიერ წარმოდგენილი მისია და მომავლის ხედვა ერთიანი სტრუქტურით აღწერს **როგორც ზოგადი, ისე პროფესიული მიმართულებების პრიორიტეტებს,** რაც ბუნებრივად ემსახურება ორმაგი პროფილის მქონე საჯარო სკოლის ფუნქციას. მისიის დოკუმენტი მოიცავს იმ ძირითად პრინციპებს, რომლებიც განსაზღვრავს დაწესებულების დანიშნულებას: მოსწავლის გონებრივი, ფიზიკური და სოციალური განვითარება; დემოკრატიული კულტურისა და სამოქალაქო ცნობიერების ფორმირება; ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობა; 21-ე საუკუნის უნარების განვითარება; ხოლო პროფესიული მიმართულებით - სწავლისა და დასაქმებისთვის საჭირო კომპეტენციების გაძლიერება და კვალიფიციური კადრების მომზადება.

ეს პრინციპები ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან თანხვედრაშია. ეროვნულ დოკუმენტში მთავარი ხაზია პასუხისმგებელი, თავისუფალი, ჯანმრთელი და სოციო-კულტურულად ჩართული პიროვნების ჩამოყალიბება, რომელსაც ექნება კრიტიკული აზროვნება,

დემოკრატიული ღირებულებები, შრომის ეთიკა და ცხოვრებისათვის საჭირო უნარები. სკოლა თავის მისიაში სწორედ ამ მიმართულებებს ასახავს როგორც ზოგადსაგანმანათლებლო, ისე პროფესიულ ჭრილში.

სკოლის ხედვა ასევე ხაზგასმით ამახვილებს ყურადღებას თანამედროვე გამოწვევებთან შესაბამისობაზე, კონკურენტუნარიანობის ზრდაზე, ადგილობრივ შრომის ბაზართან კავშირზე და პროფესიული მიმართულების სტრუქტურულ გაძლიერებაზე, რაც ეროვნული განათლების მიზნების შრომითი და ეკონომიკური ინტეგრაციის კომპონენტს ეხმიანება. ამ მხრივ, ზოგადი შესაბამისობა და ეროვნული პრიორიტეტებისადმი ორიენტაცია თვალსაჩინოა.

თუმცა, ანალიზმა აჩვენა, რომ **მისია და ხედვა ერთმანეთისგან ნაკლებადაა გამიჯნული**. ორივე ტექსტი იყენებს მსგავს ფორმულირებებს - კონკურენტუნარიანობა, უნარების განვითარება, შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობა, რის გამოც ხდება ორი დოკუმენტის შინაარსობრივი გადაკვეთა. მისია პრაქტიკულად იმეორებს ხედვის არსს და აღარ ასახავს მხოლოდ სკოლის ძირეულ დანიშნულებას, ხოლო ხედვაში ნაკლებად იკითხება სკოლაში მიმდინარე პროცესებისგან მკაფიოდ გამიჯნული მომავლის სურათი.

გამომდინარე აღნიშნულიდან სკოლას მიეცა შემდგი რჩევა:

სასურველია მკაფიოდ გაიმიჯნოს მისია და ხედვა - მისია უნდა ასახავდეს დღევანდელ ფუნქციონირებას, ხედვა კი - სკოლის მიზნობრივ მომავალს 5–10 წლის პერსპექტივაში, როგორც ზოგადსაგანმანათლებლო, ისე პროფესიული პროგრამების მიმართულებით. **ხედვა უნდა იყოს კონკრეტული და კონცეპტუალურად ჩამოყალიბებული**, ის უნდა აღწერდეს სასურველ მომავალ მდგომარეობას, რაც გახდება საფუძველი სტრატეგიული დაგეგმვისა და მონიტორინგისთვის.

ასეთი განახლება გაუმჯობესებს დოკუმენტის სიზუსტეს, სტრუქტურულად გამოკვეთავს სკოლას როგორც ორმაგი პროფილის მქონე მრავალფუნქციურ დაწესებულებას და უზრუნველყოფს მისიასა და ხედვის გამოყენებას რეალური სტრატეგიული მართვის იარაღად, რაც გაუმარტივებს როგორც ზოგადი, ისე პროფესიული პროგრამების ხარისხის შეფასებას **და განვითარებას.**

ინდიკატორის (1.1.1.1.) მოხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სკოლის მისია და ხედვა აყალიბებს მის ფუნდამენტურ როლს, როგორც მრავალგანზომილებიან სივრცეს – სადაც ხდება არა მხოლოდ სწავლება, არამედ პიროვნების განვითარება და კვლევითი უნარების დახვეწა.

მაგალითად, მისიის ფარგლებში, სკოლა ორიენტირებულია „მოსწავლეებისთვის დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების განვითარებაზე“, რაც სცდება აკადემიურ ჩარჩოებს. ხედვა კი ემსახურება „თავისუფალი და კომპეტენტური პიროვნების ჩამოყალიბებაზე ზრუნვას“. ეს აქცენტები ნათლად ადასტურებს, რომ სკოლა გააზრებულია, როგორც სოციალური, კულტურული და ინდივიდუალური ზრდის ცენტრი. რაც შეეხება უსაფრთხოებას, მიუხედავად იმისა, რომ ეს სიტყვა პირდაპირ არ ფიგურირებს, ტექსტი ირიბად მოიცავს მის ელემენტებს. კერძოდ, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება და პიროვნების კომპეტენტური განვითარებაზე ფოკუსირება ავტომატურად გულისხმობს უსაფრთხო გარემოს, როგორც ფიზიკური, ისე ფსიქოსოციალური კეთილდღეობის თვალსაზრისით.

საბოლოოდ, დემოკრატიული ცნობიერების განვითარებასა და „ოჯახის, თემისა და საზოგადოების წინაშე როლის გაცნობიერებას“ გადამწყვეტი სოციალური ფუნქცია ენიჭება, რაც სკოლას ფართო საზოგადოებრივ კონტექსტში ათავსებს.

ინდიკატორის (1.1.1.2.) მოხოვნები დაკმაყოფილებულია

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

მომავლის ხედვისა და სკოლის მისიის განხორციელების მიზნით სასკოლო საზოგადოება თანხმდება, რომ სკოლამ მთლიანობაში და მისმა ყოველმა ცალკეულმა თანამშრომელმა ყოველდღიური საქმიანობის განხორციელებაში უნდა იხელმძღვანელონ შემდეგი სამუშაო პრინციპებით, მიდგომებით და ღირებულებებით:

- ჩვენთვის მნიშვნელოვანია სახელმწიფოს წარმატება და დემოკრატიული კულტურის დამკვიდრება;
- ჩვენთვის მნიშვნელოვანია პროფესიონალიზმი, საქმის სიყვარული, შრომისმოყავრეობა და ერთგულება;
- ჩვენთვის მნიშვნელოვანია საქმისადმი კეთილსინდისიერება;
- ჩვენთვის მნიშვნელოვანია სხვათა შრომის, მიღწევებისა და აზრის პატივისცემა, აღიარება და დაფასება;
- ჩვენთვის მნიშვნელოვანია მიუკერძოებლობა, ჩვენ ვაცნობიერებთ საკუთარ პასუხისმგებლობას;
- ჩვენ გვესმის, რომ ვაკეთებთ საერთო საქმეს განათლების სფეროში და ვართ ჩვენი სკოლის ერთგულნი;
- ჩვენ ვნერგავთ ინოვაციურ მიდგომებს და ხელს ვუწყობთ არაფორმალური განათლების გაძლიერებას;
- ჩვენ ვზრუნავთ სწავლა-სწავლების მაღალ ხარისხზე და ვიყენებთ სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს ;
- ჩვენ ვემსახურებით საზოგადოებრივ ინტერესებს და ვზრუნავთ საზოგადოებრივი კეთილდღეობის შექმნისათვის;
- ჩვენ ვახალისებთ ინიციატივებს და ხელს ვუწყობთ მის განხორციელებას;
- ჩვენთვის მნიშვნელოვანია უწყვეტი პროფესიული წინსვლა, ცოდნის მიღება და გაზიარება;
- ჩვენ ვმუშაობთ გუნდურად, გვაქვს თანამშრომლობითი პრაქტიკა და ვიცავთ კოლეგიალობას;
- ჩვენ ვართ შედეგზე ორიენტირებული და ვახდენთ გაწეული ხარჯისა და მიღებული სარგებელის ანალიზს.

უნდა აღინიშნოს, რომ სკოლამ უზრუნველყო ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნით გაცემული იმ რეკომენდაციის შესრულება, რომელიც მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავებას და ამ პროცესში სასკოლო საზოგადოების სრული ჩართულობას მოითხოვდა. ამ მიზნით სკოლაში დირექტორის ბრძანებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი. ფილოსოფიის განახლება გამოწვეული იყო ასევე იმით, რომ სკოლამ მიიღო უფლებამოსილება ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის “ადმინისტრაციული სერვისების” განხორციელებაზე. აღნიშნულ პროცესში აქტიურად ჩაერთო სასკოლო საზოგადოება, რასაც ადასტურებს შესაბამისი პედაგოგიური საბჭოს ოქმები.

ინდიკატორის (1.1.1.3.) მოხოვნები დაკმაყოფილებულია

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლის მიერ დამტკიცებული მეთოდოლოგიის შესაბამისად, მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებული და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობით. აღნიშნული დასტურდება როგორც მასწავლებლებთან ჩატარებული გასაუბრებებით, პედაგოგიური საბჭოსა და სამეურვეო საბჭოს შესაბამისი ოქმებით, ასევე სკოლის მისიის ხედვისა და ღირებულებების, სკოლის სტრატეგიული გეგმისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში სასკოლო საზოგადოებასთან შეხვედრების შესახებ დირექტორის ანგარიშით.

სკოლას მიეცა რჩევა - აქტიურად გამოიყენოს მის მიერ შემუშავებული კითხვარები, რათა რეგულარულად მიიღოს უკუკავშირი სასკოლო საზოგადოების წევრებისგან.

ინდიკატორის (1.1.1.4.) მოხოვნები დაკმაყოფილებულია

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლამ სრულად გაიზიარა და შეასრულა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის (2023) რეკომენდაცია, რომელიც სასკოლო ფილოსოფიის საჯარო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას ეხებოდა. ამ რეკომენდაციის შესაბამისად, დოკუმენტი განთავსებულია როგორც სკოლის ფოიეში თვალსაჩინო ადგილას, ისე სკოლის ოფიციალურ ვებგვერდზე.

ინდიკატორის (1.1.1.5.) მოხოვნები დაკმაყოფილებულია

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

სკოლის სახელწოდება-სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოლაჯურის საჯარო სკოლა-შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის (1.1.1.6.) მოხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის სტრატეგიული დოკუმენტების-მისია, ხედვა, ღირებულებები, სამოქმედო და სტრატეგიული განვითარების გეგმების-შექმნის მეთოდოლოგია;
- სამეურვეო საბჭოს ოქმით დამტკიცებული ცვლილება სკოლის ფილოსოფისა და სტრატეგიაში;
- სკოლის ვებგვერდი;
- ინტერვიუს შედეგები.
- სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოლაჯურის საჯარო სკოლის წესდება და სატიტულე ფურცელი.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება
1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია (2025, 15.09), რომელიც უზრუნველყოფს სკოლის საქმიანობის სისტემურობასა და ანგარიშვალდებულებას. დოკუმენტი განსაზღვრავს მისიის, 7-წლიანი სტრატეგიული და 1- წლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავების პროცესს, რაც მოითხოვს SWOT ანალიზს და სასკოლო საზოგადოების სრულ ჩართულობას (მასწავლებლები, მშობლები, მოსწავლეები). დოკუმენტის თანახმად მონიტორინგს ახორციელებს დირექტორის მოადგილის ხელმძღვანელობით შექმნილი ჯგუფი წელიწადში ორჯერ.

თუმცა დოკუმენტის ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ მეთოდოლოგიის შეფასების ინდიკატორები (მუხლი 4.8) თითქმის მთლიანად ორიენტირებულია პროფესიულ განათლებაზე (სტუდენტების სტატისტიკა, დასაქმების მაჩვენებელი, პროფესიული პედაგოგების კვალიფიკაცია). **შესაბამისად სკოლას მიეცა რჩევა**, რომ **დააბალანსოს შეფასების სისტემა ზოგადი განათლების ინდიკატორების (აკადემიური მიღწევები, ეროვნულ გამოცდებზე წარმატება, ზოგადი განათლების მასწავლებლების განვითარება) დამატებით, რათა მონიტორინგი იყოს ჰოლისტიკური და თანაბრად შეაფასოს წარმატება ორივე მიმართულებით.**

ინდიკატორის (1.2.1.1.) მოხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სკოლის 7-წლიანი სტრატეგიული გეგმა წარმოადგენს ობიექტურ რეაგირებას SWOT ანალიზის შედეგად გამოვლენილ სუსტ მხარეებზე, რაც ადასტურებს გეგმის რეალობასა და საჭიროებებთან შესაბამისობას. კერძოდ, სუსტ მხარეებში აღნიშნული ინფრასტრუქტურისა და მატერიალური ბაზის საკითხები, მათ შორის სააქტო დარბაზის არარსებობა სრულად არის ასახული სტრატეგიულ მიზან N2-ში ("მატერიალური ბაზის გაუმჯობესება"). ამ მიზნის ფარგლებში დაგეგმილია საკონფერენციო დარბაზის მოწყობა თანამედროვე ტექნოლოგიებით და სასწავლო გარემოს აღჭურვა. ანალოგიურად, სტრატეგიული გეგმა ეხმაურება სწავლა-სწავლების ხარისხობრივ

გამოწვევებსაც. კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენების დაბალი ხარისხი და სასკოლო წრეებისა და კლუბების სიმწირე განიხილება სტრატეგიულ მიზან N1-ის ფარგლებში. აქცენტი კეთდება სწორედ ტექნოლოგიების ინტეგრირებასა და ახალი რესურსების შექმნაზე, ასევე არაფორმალური განათლებისა და საკლუბო მუშაობის გაძლიერებაზე, რაც პირდაპირ ემსახურება ამ სისუსტეების დაძლევას.

ამგვარად, სტრატეგიული გეგმა მიზანმიმართულად უზრუნველყოფს სკოლის შიდა გამოწვევების გადაჭრას მომდევნო 7 წლის განმავლობაში.

ინდიკატორის (1.2.1.2.) მოხოვნები დაკმაყოფილებულია

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას

ერთწლიანი სამოქმედო გეგმა სრულად გამომდინარეობს 2023-2030 წლების შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმიდან. ის წარმოადგენს შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის ლოგიკურ და დეტალურ გაგრძელებას, რომელიც მიზნად ისახავს უმნიშვნელოვანესი სფეროების (განსაკუთრებით ფსიქოსოციალური უსაფრთხოება და მონაცემთა შეგროვება) გაძლიერებას და მოიცავს ამოცანებს, რომლებიც უზრუნველყოფს ყველა სტრატეგიული მიზნის (N1-N4) შესრულებას ამ კონკრეტულ სასწავლო წელს. მაგალითად:

- უსაფრთხოება და კეთილდღეობა (მიზანი N4): გეგმა დიდ აქცენტს აკეთებს ბულინგის საწინააღმდეგო პოლიტიკის გატარებაზე (7.5) და მოსწავლეთა/პერსონალის საჭიროებების კვლევაზე (7.6, 7.7), რაც პირდაპირ უკავშირდება ფსიქოსოციალური უსაფრთხოების მიზანს.
- სწავლა-სწავლება (მიზანი N1): გათვალისწინებულია აქტივობები, რომლებიც გულისხმობს სასწავლო მასალის შექმნასა და განახლებას (მაგ. აუდიო-ვიდეო მასალის მომზადება), რაც აკადემიური ხარისხის ზრდას ემსახურება.

დოკუმენტი ადასტურებს სკოლის ანალიტიკურ და მონაცემებზე დაფუძნებულ მიდგომას. არაერთი ამოცანა გულისხმობს კვლევის ანგარიშის მომზადებას, რაც გადამწყვეტია მიღებული გადაწყვეტილებების ეფექტურობის შესაფასებლად:

- ხორციელდება კურსდამთავრებულების შეფასება (7.4), რაც აუცილებელია პროფესიული განათლების კომპონენტის წარმატების გასაზომად.
- ტარდება მოსწავლეთა და პერსონალის კვლევა საჭიროებებთან და ბულინგთან დაკავშირებით (7.6, 7.7), რაც სამოქმედო გეგმის დაზუსტების საშუალებას იძლევა.

სამოქმედო გეგმა უზრუნველყოფს ფართო სასკოლო საზოგადოების ჩართვას და პასუხისმგებლობების განაწილებას:

- პასუხისმგებელ პირებად დასახელებული არიან სხვადასხვა პოზიციები: კათედრები, დამრიგებლები, სამოქალაქო განათლების მასწავლებლები და უსაფრთხოების თანამშრომელი, რაც უზრუნველყოფს, რომ მიზნების მიღწევა არ იყოს დამოკიდებული ერთ პიროვნებაზე და სისტემა მუშაობდეს კომპლექსურად.
- თითოეულ ამოცანას აქვს მკაფიოდ განსაზღვრული ვადა (მაგ. 2025-2026), რაც ზრდის შესრულების ანგარიშვალდებულებას.

ინდიკატორის (1.2.1.3.) მოხოვნები დაკმაყოფილებულია

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

დოკუმენტში წარმოდგენილი ერთწლიანი სამოქმედო გეგმა გამოირჩევა დეტალიზაციითა და მართვადობით. თითოეული ამოცანა ჩაშლილია კონკრეტულ აქტივობებად, რომლებსაც მკაფიოდ აქვს განსაზღვრული პასუხისმგებელი პირები, ვადები და საჭირო რესურსები. ასევე, დადგენილია შესრულების ინდიკატორები, რაც მიღწევების გაზომვადობას უზრუნველყოფს. გეგმის შინაარსობრივი ანალიზი ადასტურებს, რომ ყველა დაგეგმილი ღონისძიება სრულად შეესაბამება სკოლის სტრატეგიულ მიზნებს და მათი განხორციელება რეალისტურია.

ინდიკატორის (1.2.1.4.) მოხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- 2025-2025 სასწავლო წლის სამოქმედო-გეგმა;
- 2023 -2030 სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- სკოლის სტრატეგიული დოკუმენტების-მისია, ხედვა, ღირებულებები, სამოქმედო და სტრატეგიული განვითარების გეგმების-შექმნის მეთოდოლოგია;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი 2025წ.;

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სკოლის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის დოკუმენტი დეტალურად აღწერს სტრატეგიული დაგეგმვისა და მონიტორინგის სრულ ციკლს. თუმცა, მუხლი 4 - სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის ნაწილი - შეფასების ინდიკატორების დონეზე თითქმის მთლიანად პროფესიული განათლების მიმართულებაზეა ორიენტირებული. კერძოდ:

- **სტუდენტების სტატისტიკა:** ინდიკატორები ეხება მხოლოდ პროფესიული სტუდენტების ჩარიცხვის, სტატუსის შეჩერების/შეწყვეტისა და მობილობის მაჩვენებლებს (მუხ. 4.8.1, 4.8.2, 4.8.3).
- **დასაქმება:** შეფასების კრიტერიუმებში წარმოდგენილია კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი, რაც დამახასიათებელია პროფესიული და არა ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებისთვის (მუხ. 4.8.5).

- **პედაგოგების კვალიფიკაცია:** ინდიკატორების ნაწილი შეეხება მხოლოდ პროფესიული განათლების მასწავლებელთა განვითარებასა და შენარჩუნების მაჩვენებლებს (მუხ. 4.8.6, 4.8.7, 4.8.9).

მაგრამ, რამდენადაც სკოლა წარმოადგენს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას (ზსდ), სტრატეგიული მართვის სრულფასოვნებისთვის მნიშვნელოვანია, რომ შეფასების სისტემა იყოს დაბალანსებული და მოიცავდეს ზოგადი განათლების შედეგებსაც.

შესაბამისად სკოლას მიეცა რჩევა:

მეთოდოლოგიის დოკუმენტის მონიტორინგის ნაწილში სასურველია დაემატოს ისეთი ინდიკატორები, რომლებიც აღწერს არა მხოლოდ პროფესიული, არამედ ზოგადი განათლების შედეგებსაც. შესაბამისად, მუხლ 4.8-ში (შეფასების ინდიკატორები) რეკომენდებულია დაემატოს შემდეგი რაოდენობრივი მაჩვენებლები:

- **მოსწავლეთა აკადემიური მიღწევები და მათი შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმებთან;**
- **კურსდამთავრებულთა შედეგები საატესტატო ან ეროვნულ გამოცდებზე;**
- **ზოგადსაგანმანათლებლო მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მაჩვენებლები.**

ამ დამატებების შეტანა სკოლას საშუალებას მისცემს, მონიტორინგის სისტემა იყოს უფრო სრული და სამართლიანი – შეფასდეს პროგრესი ორივე მიმართულებით: ზოგად და პროფესიულ განათლებაში.

ინდიკატორის (1.2.2.1.) მოხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

სკოლის სტრატეგიული მართვის პროცესი გამოირჩევა გამჭვირვალე და მკაფიო ანგარიშგების ციკლით. შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის შესრულების მონიტორინგი ხდება ეტაპობრივად: ყოველ სამ წელიწადში ხორციელდება შუალედური შეფასება, ხოლო მეშვიდე წელს სკოლა ამზადებს სრულ, შემაჯამებელ ანგარიშს. თითოეული მონიტორინგის ეტაპზე პასუხისმგებელი პირები წარადგენენ დეტალურ წერილობით ანგარიშებს მიღწეული შედეგებისა და განხორციელებული აქტივობების შესახებ.

ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მონიტორინგი მიმდინარეობს უწყვეტ რეჟიმში. სასწავლო წლის ბოლოს, შესაბამისი მიმართულებების ხელმძღვანელები ამზადებენ შესრულებული სამუშაოს წერილობით ანგარიშებს. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის წინამძღოლი არის სპეციალურად შექმნილი სამუშაო ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს როგორც პროცესის, ისე შედეგების შეფასებას.

მონიტორინგის დასრულების შემდეგ, სკოლა სამეურვეო საბჭოს წარუდგენს ერთწლიანი გეგმის შესრულების ანგარიშს, სადაც ასახულია მიზნების მიღწევის დონე, ქმედებების ეფექტიანობა და გამოვლენილი გამოწვევები.

მიუხედავად მიმდინარე სისტემური მოწყობისა, სკოლის დირექციასთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა საჭიროება უკუკავშირის უფრო ეფექტური მექანიზმების დანერგვის მიმართ. აღნიშნული განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საზოგადოების ჩართულობის გაძლიერებისთვის და სტრატეგიული მართვის პროცესების შემდგომი გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის (1.2.2.2.) მოხოვნები დაკმაყოფილებულია

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

სტრატეგიული განვითარების გეგმის მეთოდოლოგიის მიხედვით, ანგარიშის გამჭვირვალობა უზრუნველყოფილია იმით, რომ სკოლა სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგებს წარუდგენს სამეურვეო და პედაგოგიურ საბჭოს. გარდა ამისა, ერთწლიანი (2024–2025 სასწავლო წლის) სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში საჯაროობის უზრუნველსაყოფად თავსდება სკოლის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა შესაბამისი ანგარიშები, თუმცა ვებგვერდზე აღნიშნული დოკუმენტი ხელმისაწვდომი არ აღმოჩნდა. შესაბამისად, **სკოლას მიეცა რჩევა, სასურველია უზრუნველყოს ანგარიშის დროულად და სისტემატურად გამოქვეყნება, რათა სრულად დაკმაყოფილდეს გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და მონაწილე მხარეების ინფორმირების სტანდარტები.**

ინდიკატორის (1.2.2.3.) მოხოვნები დაკმაყოფილებულია

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები სკოლას ემსახურება შემდგომი განვითარების მიზნების განხორციელებაში. აღნიშნული შედეგების ანალიზი საშუალებას აძლევს დაწესებულებას შეაფასოს განხორციელებული აქტივობების ეფექტიანობა, გამოავლინოს გაუმჯობესების საჭირო სფეროები და განსაზღვროს შესაბამისი განვითარებისა და გაუმჯობესების ღონისძიებები. შეფასების პროცესში მიღებული გამოცდილება წარმოადგენს საფუძველს შემდეგი სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის დასაგეგმად. ამ პრაქტიკის დამადასტურებელი მაგალითია სკოლის მიერ წარმოდგენილი 2025-2026 წლის სამოქმედო გეგმა, რომელიც SWOT ანალიზს დაეფუძნა და ისიც რომ სკოლამ, გამოვლენილი საჭიროებების გათვალისწინებით, დაგეგმა ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება და ცვლილებები შეიტანა შესაბამის მარეგულირებელ დოკუმენტაციაში.

ინდიკატორის (1.2.2.4.) მოხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სტრატეგიული განვითარების გეგმების-შექმნის მეთოდოლოგია;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმის ანალიზი;
- სტრატეგიული განვითარების გეგმა;

- სამოქმედო გეგმა.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სკოლის სტრუქტურული ერთეულებია: დირექცია, სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მოსწავლეთა თვითმმართველობა და კათედრები. საშტატო განრიგისა და EMIS-ის მონაცემების მიხედვით, **დირექციის შემადგენლობაში შედიან:**

- დირექტორი
- ბუღალტერი

ადმინისტრაციულ მართვაში ჩართულია შემდეგი პერსონალი:

- საქმისმწარმოებელი
- ბიბლიოთეკარი

სკოლას ჰყავს ასევე სახელმწიფო დაფინანსების ფარგლებში ხელშეკრულებით დასაქმებული თანამშრომლები:

- ექთანი
- 2 დარაჯი
- 2 დამლაგებელი
- 1 ცეცხლფარეში

სკოლაში დასაქმებულია 22 მასწავლებელი.

სტრუქტურული ერთეულებისა და შიდა მართვის სისტემის გამართული ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, სკოლის დირექტორის 2025 წლის 17 სექტემბრის N2-149 ბრძანებით დამტკიცებულია დოკუმენტი **„თანამშრომელთა და სტრუქტურული ერთეულების საკვალიფიკაციო მოთხოვნები და ფუნქცია-მოვალეობები”**.. აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს როგორც თითოეული ერთეულის კომპეტენციებს, ისე პასუხისმგებელ პირთა ფუნქციებს.

სკოლამ გაითვალისწინა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის (2023) რეკომენდაცია მრჩეველთა საბჭოს შექმნის შესახებ. რეკომენდაციის შესრულების მიზნით, დირექტორის 2024 წლის N17 ბრძანებით ჩამოყალიბდა მრჩეველთა საბჭო, ხოლო შემდგომში მისი შემადგენლობა განახლდა - 2025 წლის 21 ნოემბერს დირექტორის N75 ბრძანებით შეიქმნა საბჭოს ახალი შემადგენლობა.

მრჩეველთა საბჭოში შედიან:

- დირექტორი
- უფლებამოსილი პირი
- სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე
- პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარე
- დისციპლინური კომიტეტის თავმჯდომარე
- მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარე
- რესურსცენტრის წარმომადგენლები

მრჩეველთა საბჭო მნიშვნელოვან როლს ასრულებს სკოლის განვითარების პროცესში: უზრუნველყოფს კონსულტაციური ფორმატის გაძლიერებას, ხელს უწყობს მრავალმხრივ ჩართულობას მართვის პროცესში და აძლიერებს გადაწყვეტილებების მიღების დემოკრატიულობას.

ინდიკატორის (3.1.1.1) მოხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სკოლის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების ანალიზმა აჩვენა, რომ პოზიციებზე დასაქმებულ პირთა უფლებამოსილებები მკაფიოდ დელეგირებულია, რაც უზრუნველყოფს შიდა მართვის პროცესების ეფექტურ ორგანიზებას. სკოლის დირექტორის უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში, განსაზღვრულია მოვალეობის დროებით შემსრულებელი - სკოლის მასწავლებელი, რომელსაც ენიჭება დირექტორის ფუნქციების დროებითი შესრულების უფლება. აღნიშნული პრაქტიკა უზრუნველყოფს მმართველობითი პროცესების უწყვეტობას და გადაწყვეტილებების მიღების შეუფერხებელ მიმდინარეობას სკოლაში.

ინდიკატორის (3.1.1.2) მოხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- „თანამშრომელთა და სტრუქტურული ერთეულების საკვალიფიკაციო მოთხოვნები და ფუნქცია-მოვალეობები";
- სკოლის სტრუქტურა;
- სკოლის საზოგადოებასთან გასაუბრების შედეგები.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სოფელ ბოლაჯაურის სკოლის პერსონალის მართვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის, სკოლის შინაგანაწესისა და შრომითი ხელშეკრულებების შესაბამისად. სკოლაში მოქმედებს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, რომელიც დამტკიცებულია სსიპ „ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოლაჯაურის საჯარო სკოლის" დირექტორის N64 ბრძანებით. დოკუმენტი განსაზღვრავს პოლიტიკის ძირითად მიზნებსა და პრინციპებს, მათ შორის სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაში მის როლს და პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმებს.

შინაგანაწესი მოიცავს სამუშაო პროცესის რეგულირების ყველა მნიშვნელოვან საკითხს: სამუშაო დღის განრიგს, დასვენებისა და სამუშაო კვირის ხანგრძლივობას, ანაზღაურების წესებს, შვებულებასთან დაკავშირებულ პირობებს, შრომითი უსაფრთხოების სტანდარტებს, წახალისებისა და პასუხისმგებლობის ფორმებს, მატერიალური პასუხისმგებლობის წესებს, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის პროცედურებს, სასწავლო პროცესის ორგანიზების ნორმებს, ჩაცმულობის წესს და შრომითი დისკრიმინაციის აკრძალვის მექანიზმებს.

აღნიშნული დოკუმენტები ერთობლივად უზრუნველყოფს სკოლის პერსონალის მართვის გამართულ, გამჭვირვალე და სამართლებრივად დაცულ სისტემას

ინდიკატორის (3.1.2.1) მოხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

ექსპერტთა მიერ სკოლის წარმომადგენლებთან ჩატარებული გასაუბრებებისა და დოკუმენტური ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ სკოლაში ადამიანური რესურსების მართვის სისტემა მოიცავს როგორც პრევენციულ, ისე ინტერვენციულ მექანიზმებს. დირექტორთან გასაუბრებისა და მასწავლებელთა გაკვეთილებზე დასწრების ჩანაწერების მიხედვით ირკვევა, რომ პედაგოგთა შეფასება ხორციელდება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს მათი სიძლიერეების გამოვლენას და პროფესიული განვითარების საჭიროებების იდენტიფიცირებას. აღნიშნული პროცესი ხელს უწყობს მიზანმიმართულ მხარდაჭერას და მასწავლებელთა პროფესიულ წინსვლას.

ინტერვენციული მექანიზმების მიმართულებით, შრომის შინაგანაწესით მკაფიოდ არის განსაზღვრული თანამშრომელთა პასუხისმგებლობები გამოუცხადებლობისა და დაგვიანების შემთხვევებში. დადგენილია შესაბამისი პროცედურები, რომლებიც მოიცავს

შეტყობინების ვადებს, ფორმებსა და დისციპლინური რეაგირების წესებს. აღნიშნული მექანიზმები უზრუნველყოფს შრომითი დისციპლინის დაცვასა და ადამიანური რესურსების ეფექტიან მართვას.

რჩევა

სკოლას მიეცა რჩევა, პრევენციული ღონისძიებების ფარგლებში შეიმუშაოს ადმინისტრაციისა და ტექნიკური პერსონალის შეფასების კრიტერიუმები. აღნიშნული კრიტერიუმები უზრუნველყოფს, რომ ყველა თანამშრომელმა მიიღოს სისტემატური, სამართლიანი და გამჭვირვალე შეფასება, რაც ხელს შეუწყობს პერსონალის პროფესიულ განვითარებას, მიზანმიმართულ მხარდაჭერას და მთლიანად სკოლაში ადამიანური რესურსების მართვის სისტემის ეფექტურობას.

ინდიკატორის (3.1.2.2) მოხოვნები დაკმაყოფილებულია

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

სსიპ-ადიგენის მუნიციპალიტეტის, სოფელ ბოლაჯურის საჯარო სკოლა მასწავლებელთა შერჩევის პროცესში ხელმძღვანელობს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 20 აგვისტოს №174/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესით", რომელიც განსაზღვრავს მასწავლებლის პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ ძირითად ეტაპებსა და პროცედურებს.

სკოლის პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით დადგენილია შერჩევის პროცესის ეტაპები, მეთოდები და გადაწყვეტილების მიღების სტანდარტები. აღნიშნული პროცედურები ეფუძნება სამართლებრივად განსაზღვრულ და პროფესიულ პრინციპებს, რაც აუცილებელია გამჭვირვალე, სამართლიანი და თანმიმდევრული შერჩევის უზრუნველყოფისთვის.

საკონკურსო დოკუმენტაციისა და ოქმების შესწავლის საფუძველზე დასტურდება, რომ კანდიდატების შერჩევის პროცესში სკოლა იცავს ობიექტურობის, გამჭვირვალობისა და საჯაროობის პრინციპებს.

ინდიკატორის (3.1.2.3) მოხოვნები დაკმაყოფილებულია

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

პერსონალის დოკუმენტაციისა და EMIS-ის მონაცემების გადამოწმების შედეგად ირკვევა, რომ სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოლაჯურის საჯარო სკოლაში მომუშავე პედაგოგთა კვალიფიკაცია სრულ შესაბამისობაშია როგორც სკოლის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებთან, ისე მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტებთან.

აღნიშნული ანალიზი ადასტურებს, რომ სკოლაში დასაქმებულია 22 პედაგოგი, მათ შორის ერთი - წამყვანი და ოცდაერთი -უფროსი სტატუსის მქონე მასწავლებელი. თითოეულის პირადი საქმე მოიცავს პროფესიული სტატუსისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტებს, ასევე ცნობებს პროფესიული განვითარების კურსებსა და ტრენინგებში მონაწილეობაზე.

დამატებით, პირად საქმეებში წარმოდგენილია ოფიციალური დადასტურება იმისა, რომ თანამშრომლებს არ აქვთ ნასამართლეობა და მათ მიმართ არ ფიქსირდება სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის ფაქტები.

საერთო ჯამში, შესწავლილი მასალები მიუთითებს, რომ სკოლის მიერ პერსონალის შერჩევისა და დასაქმების პროცესი სრულად შეესაბამება სამართლებრივ მოთხოვნებს და უზრუნველყოფს პროფესიულად კვალიფიციური და სანდო კადრების არსებობას.

ინდიკატორის (3.1.2.4) მოხოვნები დაკმაყოფილებულია

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს

მასწავლებლებთან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გამართული გასაუბრებების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლაში თანამშრომლობისა და კომუნიკაციის კულტურა მკაფიოდ ჩამოყალიბებულია. პედაგოგიური საბჭოს, სამეურვეო საბჭოსა და დისციპლინური კომიტეტის სხდომები ტარდება რეგულარულად, რასაც ადასტურებს ყველა შესაბამისი ოქმი. დოკუმენტებიდან ჩანს, რომ შეხვედრებზე განიხილება როგორც საგნობრივი და სწავლების პროცესთან დაკავშირებული საკითხები, ასევე ორგანიზაციული და ადმინისტრაციული მიმართულებები. სხდომებზე მიიღება შეთანხმებული გადაწყვეტილებები, იგეგმება მიმდინარე პროცესების გაუმჯობესების ნაბიჯები და ხდება პასუხისმგებლობების გადანაწილება.

მასწავლებლებისგან მიღებული ინფორმაცია მიუთითებს, რომ ისინი ერთმანეთის საქმიანობას აქტიურად ეცნობიან და ცვლიან პროფესიულ ხედვებს, რაც ხელს უწყობს გაკვეთილის უკეთ დაგეგმვასა და სწავლების მეთოდების დახვეწას. მათი თქმით, ერთმანეთთან ურთიერთობა და გამოცდილების გაზიარება ქმნის მხარდამჭერ სამუშაო გარემოს და ზრდის სწავლების ხარისხს.

თუმცა, ექსპერტთა მოსაზრებით სასურველია აღნიშნული თანამშრომლური პრაქტიკების უფრო ფორმალური ინსტრუმენტებით გაძლიერება - მაგალითად, მიზნობრივი შეხვედრების გეგმებით, მონაწილეობის ფიქსირებული ფორმებით ან ერთობლივი სამუშაოს შედეგების დოკუმენტირებით. ეს ნაბიჯი გააძლიერებს სკოლის შიდა მართვის მექანიზმებს და კიდევ უფრო გააუმჯობესებს ხარისხის უზრუნველყოფის პროცესს.

ინდიკატორის (3.1.2.5) მოხოვნები დაკმაყოფილებულია

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი

სკოლაში თანამშრომელთა წახალისების პროცედურები განსაზღვრულია შრომის შინაგანაწესით, სადაც წარმოდგენილია მოტივაციის სხვადასხვა ფორმა - მადლობის გამოცხადება, სიგელის გადაცემა, ფულადი წახალისება და სხვა მხარდაჭერის მექანიზმები. აღნიშნული ღონისძიებები მიმართულია თანამშრომელთა პროფესიული მიღწევების შეფასებისა და მათი მოტივაციის ზრდისკენ.

დირექტორთან გასაუბრების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სკოლა აქტიურად იყენებს თანამშრომელთა მიღწევების საჯარო დაფასების პრაქტიკას: პედაგოგებისა და მოსწავლეთა წარმატებები რეგულარულად ქვეყნდება სკოლის ოფიციალურ Facebook გვერდზე. ეს ხელს უწყობს დადებითი სამუშაო გარემოს შექმნას, ზრდის თანამშრომელთა ჩართულობას და აძლიერებს სკოლის საჯარო იმიჯს.
გარდა ამისა, ფიქსირდება შემთხვევები, როდესაც პედაგოგებს შრომითი წარმატებისა და განსაკუთრებული წვლილის გამო ენიშნებათ ფულადი პრემია, რაც დამატებით ინსტრუმენტად გამოიყენება მათი მოტივაციის გასაზრდელად.

რჩევა:

სასურველია წახალისების მექანიზმი გახდეს უფრო სტრუქტურირებული და დოკუმენტურად გაწერილი. რეკომენდებულია:

- **განისაზღვროს თანამშრომელთა წახალისების მკაფიო კრიტერიუმები;**
- **დადგინდეს წახალისების გამოყენების პერიოდულობა;**
- **ჩამოყალიბდეს ერთიანი დებულება ან პროცედურა, სადაც დაფიქსირებული იქნება შეფასების საფუძველი, შეჯამების ფორმატი და გადაწყვეტილების მიღების წესები.**

მოცემული მიდგომა გაზრდის პროცესის გამჭვირვალობას, უზრუნველყოფს თანმიმდევრულობას და ხელს შეუწყობს პროფესიული მოტივაციისა და შიდა მართვის კულტურის გაძლიერებას.

ინდიკატორის (3.1.2.6) მოხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის შინაგანაწესი;
- სკოლის პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა
- საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმებით;
- საშტატო განრიგი;
- პირადი საქმეები;
- გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

2023 წლის ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით, სკოლაში არ არსებობდა თანამშრომელთა შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევის პრაქტიკა. თუმცა, მიმდინარე მონიტორინგის პროცესში გამოვლინდა, რომ აღნიშნული რეკომენდაცია ნაწილობრივ უკვე შესრულებულია.

დადგენილია, რომ მასწავლებელთა პროფესიული საჭიროებების შეფასება ხდება გაკვეთილების მონიტორინგისა და პედაგოგიური პროცესის უშუალო დაკვირვების გზით, რაც დასტურდება სკოლაში წარმოდგენილი შეფასების ფორმებითა და ჩანაწერებით. გაკვეთილებზე დასწრების შედეგად იდენტიფიცირდება პედაგოგთა ძლიერი და დასახვეწი მხარეები, მათი ინდივიდუალური მოთხოვნები და პროფესიული განვითარების მიმართულებები.

შემდგომში, აღნიშნული ანალიზის საფუძველზე, სკოლა გეგმავს მიზნობრივ ტრენინგებსა და პროფესიული განვითარების ღონისძიებებს, რაც მიანიშნებს, რომ დაწესებულებაში ჩამოყალიბებულია საჭიროებებზე დაფუძნებული პროფესიული განვითარების მიდგომის ელემენტები.

ეს ნაბიჯი წარმოადგენს მნიშვნელოვან პროგრესს წინა ავტორიზაციის რეკომენდაციებთან მიმართებით და ზრდის პედაგოგიური საქმიანობის გაუმჯობესებისა და სისტემური განვითარების შესაძლებლობებს.

ინდიკატორის (3.2.1.1.) მოხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

სკოლის დირექტორის განმარტებით, მასწავლებლების საქმიანობის შეფასების შედეგების ანალიზი საშუალებას აძლევს სკოლას განსაზღვროს პერსონალის პროფესიული განვითარების პრიორიტეტები. შეფასების შედეგად გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე სკოლა გეგმავს და უზრუნველყოფს თანამშრომლების მონაწილეობას სხვადასხვა პროფესიული განვითარების აქტივობებში. პერსონალის საჭიროებების გამოვლენისთვის სკოლაში პერიოდულად გამოიყენება სპეციალურად შემუშავებული კითხვარები, რომლებიც ეხმარება ინდივიდუალური განვითარების სფეროების ამოცნობასა და თანამშრომელთა პროფესიული შესაძლებლობების გაუმჯობესებაში. სამოქმედო გეგმის მიხედვით, სკოლა ადამიანური რესურსის განვითარების ხელშეწყობას განსაკუთრებულ პრიორიტეტად მიიჩნევს, რაც გულისხმობს მასწავლებლების ტრენინგებით უზრუნველყოფას და მათი პროფესიული უნარებისა და კომპეტენციების სისტემურ განვითარებას. აღნიშნული მიდგომა პირდაპირ აისახება სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებასა და მოსწავლეთა შედეგების ზრდაზე.

რჩევა: სასურველია, სკოლამ განსაზღვროს პროფესიული განვითარების პროცესში შესაძლო გამოწვევები და შექმნას სისტემური მონიტორინგისა და გაკვეთილებზე დასწრების გეგმა. ეს უზრუნველყოფს საქმიანობის შედეგების მიზნობრივ ანალიზს, საჭიროებების

დროულ გამოვლენას და თანამშრომელთა პროფესიული მხარდაჭერის ეფექტიან დაგეგმვას, რაც დადებითად აისახება როგორც პროფესიულ ზრდაზე, ისე სკოლაში შიდა მართვის კულტურაზე.

ინდიკატორის (3.2.1.2.) მოხოვნები დაკმაყოფილებულია

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას

მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიული განვითარების პროცესში ჩართულობა დადასტურებულია პირადი საქმეებით, სადაც ინახება შესაბამისი სერთიფიკატები გავლილი ტრენინგებისა და პროფესიული განვითარების ღონისძიებების შესახებ. დოკუმენტაციის შესწავლით დადგინდა, რომ სკოლის პერსონალს სისტემატურად ეძლევა შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღოს სხვადასხვა პროფესიული განვითარების ტრენინგებში. მათ შორის აღსანიშნავია უსაფრთხოების მიმართულების სწავლება, რომელიც უზრუნველყოფს სამუშაო გარემოს უსაფრთხოების გაზრდას და სიღრმისეულ ცოდნას შინაგანაწესისა და რეგულაციების შესახებ.

სკოლის თანამშრომლები ასევე არიან ჩართულები გენდერული ინტეგრაციის საკითხებში, რაც აძლიერებს გენდერული თანასწორობისა და ინკლუზიური მიდგომების დანერგვას სასწავლო პროცესში. ამ მიმართულებით განხორციელდა როგორც ძირითადი, ისე განათლებაში გენდერული მეინსტრიმინგის სპეციალიზებული ტრენინგები.

გარდა ამისა, პერსონალს მიეცა შესაძლებლობა გაცნობოდა მეწარმეობის უნარ-ჩვევებს, რაც მათ პროფესიულ განვითარებასთან ერთად ხელს უწყობს სკოლაში ინოვაციური პროექტებისა და იდეების განხორციელებას.

სკოლის განვითარების მხარდაჭერად განხორციელდა ტრენინგები კომუნიკაციის მიმართულებით, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესში ეფექტური ურთიერთობების ჩამოყალიბებისთვის, როგორც პედაგოგებს შორის, ასევე მოსწავლეებთან.

სკოლის თანამშრომლები აქტიურად მონაწილეობენ რეგიონალური განვითარების ფონდის არაფორმალური განათლების ფორუმის ტრენინგებსა და სესიებში, რომლებიც მოიცავდა თემებს ლიდერობასა და ეფექტურ კომუნიკაციაზე, არაფორმალური განათლების მხარდამჭერ გარემოს შექმნაზე, ხელოვნური ინტელექტის გამოყენებას, სოციალური მედიის მართვას, ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ საპროექტო იდეებს და ადვოკატირებას.

სტემ მიმართულებით, პერსონალს მიეცა პროფესიული განვითარების შესაძლებლობები განათლების სამინისტროს ორგანიზებულ ტრენინგებში, რაც ხელს უწყობს სწავლების ხარისხისა და ინოვაციური მიდგომების გაძლიერებას.

ინდიკატორის (3.2.1.3.) მოხოვნები დაკმაყოფილებულია

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

სკოლის დირექტორთან და მასწავლებლებთან ჩატარებული გასაუბრებების მიხედვით, ახალ თანამშრომლებს უზრუნველყოფენ სისტემური მხარდაჭერით და ინფორმაციით. მათ აცნობენ სასკოლო გარემოს, უფლებებსა და მოვალეობებს, კათედრის წესებს, სასწავლო და სამოქმედო გეგმებს და სკოლაში დამკვიდრებულ ტრადიციებს, რაც ადაპტაციას მარტივსა და ეფექტურს ხდის.

ინდიკატორის (3.2.1.4.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

სკოლის შინაგანაწესში და პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტში დეტალურადაა გაწერილი წახალისების მექანიზმები, რომლებიც ხელს უწყობენ თანამშრომელთა მოტივაციას და საქმიანობის სისტემურ წარმართვას. სასკოლო სამოქმედო გეგმის ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტი ადამიანური რესურსის განვითარებაა. ამ მიზნის განხორციელების მიზნით სკოლაში ორგანიზებულია ტრენინგები, სამუშაო შეხვედრები და სხვა პროფესიული განვითარების აქტივობები, რომლებიც თანამშრომელთა ინდივიდუალურ საჭიროებებსა და ინტერესებს არის მოეგებული. პირადი საქმეებისა და სერტიფიკატების მიხედვით დადასტურებულია, რომ სკოლა აქტიურად უწყობს ხელს თანამშრომელთა ჩართულობას მათთვის მნიშვნელოვანი ტრენინგებისა და პროფესიული განვითარების ღონისძიებებში.

ინდიკატორის (3.2.1.5.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის შინაგანაწესი;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
- პერსონალის პირადი საქმეები:
- სკოლის ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის, სოფელ ბოლაჯურის საჯარო სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებულია ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი (დამტკიცებულია დირექტორის N17 ბრძანებით), ადგენს ხარისხის მართვის ძირითად პრინციპებს, მექანიზმებსა და პროცესებს, უზრუნველყოფს სკოლის ხარისხის სისტემურ კონტროლსა და ეფექტურ მართვას. დადგინდა, რომ სკოლის ორგანიზაციული პროცესების მართვა განხორციელებულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და შიდა დოკუმენტაციის საფუძველზე, მათ შორის შრომის შინაგანაწესის, სასკოლო სასწავლო გეგმისა და სხვა მარეგულირებელი დოკუმენტების მიხედვით, რაც უზრუნველყოფს საქმიანობის სამართლებრივ ჩარჩოში მოქცევას და პროცესების სტრუქტურირებულ და სისტემურ მართვას.

ინდიკატორის (3.3.1.1.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

სკოლა, ორგანიზაციული პროცესების მართვას, ახორციელებს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და შიდა დოკუმენტაციის საფუძველზე, მათ შორის შრომის შინაგანაწესის, სასკოლო სასწავლო გეგმისა და სხვა მარეგულირებელი დოკუმენტების მიხედვით, რაც უზრუნველყოფს საქმიანობის სამართლებრივ ჩარჩოში მოქცევას და პროცესების სტრუქტურირებულ მართვას.

სასწავლო საქმიანობასთან დაკავშირებული პროცედურები დეტალურადაა ასახული დოკუმენტებში: "სკოლის თანამშრომელთა და სტრუქტურული ერთეულების საკვალიფიკაციო მოთხოვნები და უფლება მოვალეობები" და "ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა", რომლებსიც განსაზღვრულია მმართველობითი ფუნქციები, დირექტორისა და ადმინისტრაციის პასუხისმგებლობები და ანგარიშვალდებულება. შინაგანაწესშიც გაწერილია საკადრო პროცესები: შრომითი ურთიერთობების დამყარებისა და შეწყვეტის წესები, თანამშრომელთა წახალისების ფორმები და მათი გამოყენების პროცედურები, სამსახურში გამოუცხადებლობის წესები, პერსონალის მატერიალური პასუხისმგებლობა, აგრეთვე მასწავლებლისა და დამრიგებლის დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლები.

ინდიკატორის (3.3.1.2.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოლაჯურის საჯარო სკოლაში საჩივრებისა და გადაწყვეტილებების გასაჩივრების პროცედურები დადგენილია დირექტორის 2025 წლის №68 ბრძანებით. ასევე შინაგანაწესში დეტალურად არის გაწერილი თანამშრომლებისა და მოსწავლეების დისციპლინური პასუხისმგებლობები, საჩივრის შეტანის წესი და განხილვის პროცედურები. დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ სკოლა ითვალისწინებს ყველა მნიშვნელოვან შემთხვევას, მათ შორის ვაკანტური მასწავლებლის

პოზიციაზე კონკურსის შედეგების გასაჩივრებას. კანდიდატს აქვს უფლება კომისიისა და დირექტორის გადაწყვეტილება გაასაჩივროს საპრეტენზიო კომისიაში, განსაზღვრული ვადებისა და წესების დაცვით. საჩივრების განხილვა სრულდება ადმინისტრაციული კოდექსის ნორმების შესაბამისად. მონიტორინგის შედეგად დადასტურდა, რომ თანამშრომლები სრულად არიან ინფორმირებული მოსწავლეებისა და მშობლების უფლებების შესახებ და იციან, რომ ნებისმიერ უკანონო ან არასათანადო ქმედებისას შეუძლიათ გასაჩივრება, რაც ამყარებს სკოლის მმართველობის სისტემის გამჭვირვალობასა და სამართლიანობას.

ინდიკატორის (3.3.1.3.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები**

სკოლაში როგორც პერსონალის, ასევე მოსწავლეთა მშობლებისა და კანონიერ წარმომადგენლების უფლებების დაცვა დოკუმენტურად რეგლამენტირებულია. ეს უზრუნველყოფილია შინაგანაწესით, თანამშრომლების შრომით ხელშეკრულებებით და მოსწავლეთა მშობელთან ან კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულებებით.

დოკუმენტებში დეტალურად არის გაწერილი ის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ უფლებების დაცვას და შესაძლო დარღვევების სამართლებრივად მართვას. მათ შორისაა თითოეული მხარის პასუხისმგებლობა, რეაგირების ვადები, ფორმალური კომუნიკაციის საშუალებები და შესაბამისი პროცედურები. აღნიშნული პრაქტიკა ხელს უწყობს სკოლის შიდა დემოკრატიული მმართველობის განვითარებას, თანამშრომლობის გარემოს შენარჩუნებას და ნდობის გაძლიერებას ადმინისტრაციასა და მშობელთა/კანონიერი წარმომადგენლებს შორის.

ინდიკატორის (3.3.1.4.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის, სოფელ ბოლაჯურის საჯარო სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებულია ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი;
- შინაგანაწესი;
- "სკოლის თანამშრომელთა და სტრუქტურული ერთეულების საკვალიფიკაციო მოთხოვნები და უფლება მოვალეობები";
- "ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა";
- სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოლაჯურის საჯარო სკოლაში საჩივრებისა და გადაწყვეტილებების გასაჩივრების პროცედურები;
- ხელშეკრულებები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის, ასევე მშობლებთან გამართული გასაუბრებების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლა უზრუნველყოფს მშობლების სისტემურ ინფორმირებას მათი შვილების სწავლების პროცესთან დაკავშირებული საკითხების შესახებ. სკოლასა და მშობელს შორის ურთიერთობას არეგულირებს ორმხრივი ხელშეკრულება, რომელიც მკაფიოდ განსაზღვრავს ორივე მხარის უფლებებსა და მოვალეობებს, რაც ხელს უწყობს პასუხისმგებლობების გამჭვირვალე გადანაწილებასა და კონსტრუქციული თანამშრომლობის ფორმირებას.

მშობლებთან კომუნიკაციისთვის სკოლა წარმატებით იყენებს სხვადასხვა ელექტრონულ არხს: ელექტრონულ ფოსტას, სოციალურ ქსელებს, დახურულ ონლაინ ჯგუფებსა და Teams-ის პლატფორმას. დამატებით, ინფორმაციის გაცემა ხორციელდება მშობელთა კრებებისა და ინდივიდუალური შეხვედრების საშუალებით, რაც უზრუნველყოფს მუდმივ, დროულ და ხელმისაწვდომ კომუნიკაციას.

სკოლის თანამშრომლების ინფორმირებისთვის გამოიყენება ასევე მრავალმხრივი კომუნიკაციის სისტემა. პერსონალს ეძლევა ინფორმაცია როგორც ოფიციალური ბრძანებებითა და სასკოლო დოკუმენტებით, ასევე შიდა ელექტრონული არხებით. ეს მიდგომა უზრუნველყოფს თანამშრომლების ჩართულობას, პროცესებში და საერთო ინფორმაციული ერთიანობის დაცვას.

ვიზიტის პერიოდში გამოვლინდა, რომ სკოლაში არ არის დოკუმენტურად დაფიქსირებული სისტემური მექანიზმი მიღებული უკუკავშირის აღრიცხვასა და რეაგირებაზე. ამიტომ **სკოლას მიეცა რჩევა: შეიმუშაოს პროცედურები უკუკავშირის მიღებისა და რეაგირებისათვის, რაც საშუალებას მისცემს ადმინისტრაციას ეფექტურად გაითვალისწინოს სასკოლო საზოგადოების მოსაზრებები, საჭიროებები და ინიციატივები, გააძლიეროს მართვის პროცესების გამჭვირვალობა და გაზარდოს საზოგადოების ჩართულობა სკოლაში ინდიკატორის (3.3.2.1.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

სკოლის შიდა მართვის სისტემა დაფუძნებულია კოლეგიურ ორგანოებზე, რომლებიც უზრუნველყოფენ გადაწყვეტილების მიღების პროცესის გამჭვირვალობასა და თანამშრომლობაზე დაფუძნებულ მართვას. ამ ორგანოებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საგნობრივ კათედრებს, სადაც სხვადასხვა მიმართულების მასწავლებლები ერთიანდებიან საერთო მიზნების გარშემო. კათედრები პასუხისმგებელნი არიან სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და კოორდინაციაზე, პროგრამების შინაარსობრივ სრულყოფასა და სწავლების ხარისხის მუდმივ გაუმჯობესებაზე.

მნიშვნელოვან როლს ასრულებს პედაგოგიური საბჭოც - სივრცე, სადაც განიხილება და თანხმდება სკოლის განვითარების ძირითადი მიმართულებები. საბჭო მონაწილეობს ისეთი სტრატეგიული დოკუმენტების შექმნასა და დამტკიცებაში, როგორიცაა სკოლის მისია,

ხედვა, ღირებულებები, სტრატეგიული განვითარების გეგმა, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა და სასკოლო კურიკულუმი. ამ გზით საბჭო ახდენს სკოლის პოლიტიკის, პრიორიტეტებისა და განვითარების გრძელვადიანი მიმართულებების ჩამოყალიბებას.

სკოლის მართვის პროცესში მნიშვნელოვანი როლი აქვს სამეურვეო საბჭოსაც, რომელიც წარმოადგენს სკოლის საზოგადოებრივ ზედამხედველ ორგანოს. იგი მონაწილეობს სკოლის განვითარების ძირითად მიმართულებათა განსაზღვრაში, რესურსების განაწილების პრიორიტეტების განხილვაში და უზრუნველჰყოფს დაინტერესებული მხარეების ინტერესების გათვალისწინებას. სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომელიც უზრუნველყოფს სკოლის საგანმანათლებლო, კულტურულ და სტრატეგიულ საქმიანობაზე კონსულტაციის გაწევას. საბჭოში ჩართული წევრები სკოლას აწვდიან რეკომენდაციებს განვითარების პერსპექტივებზე, ინოვაციებზე და საგანმანათლებლო გარემოს გაუმჯობესებაზე.

სკოლის თვითმმართველობითი სტრუქტურის მნიშვნელოვანი ნაწილია მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც ქმნის მონაწილეობისა და პასუხისმგებლობის კულტურას ახალგაზრდებში, და დისციპლინური კომიტეტი, რომელიც განიხილავს ქცევასთან დაკავშირებულ საკითხებს სამართლიანობის, თანმიმდევრულობისა და პრევენციის პრინციპებზე დაყრდნობით.

ინდიკატორის (3.3.2.2.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კათედრების მუშაობის ამსახველი დოკუმენტაცია;
- მშობელთა კრების ოქმები;
- პედაგოგიური საბჭოს ოქმები;
- სამეურვეო საბჭოს ოქმები;
- სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო**

სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)

სკოლამ გაითვალისწინა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის (2023) რეკომენდაცია და წარმოადგინა როგორც უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, ისე სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დადებითი დასკვნა.

რაც შეეხება შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნას, სკოლის დირექტორის განმარტებით, გამოვლენილი ხარვეზები უკვე გამოსწორებულია და მიმდინარეობს კვამლის დეტექტორების სრულად გამართვის პროცესი. დეტექტორების გამართვის დასრულების შემდეგ სკოლა განმეორებით მიმართავს უფლებამოსილ უწყებას განახლებული დასკვნის მისაღებად. აღნიშნული პროცედურის გათვალისწინებით, **სკოლამ წარმოადგინა სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც დადებითი დასკვნის მოპოვება დაგეგმილია 2026 წლის 1 იანვრამდე. შესაბამისად სკოლას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია: უზრუნველყოს შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების დადებითი დასკვნის მოპოვება გეგმით განსაზღვრულ ვადაში (2026, 1 იანვარი).**

ფაქტობრივი დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ სკოლის გარე პერიმეტრი სრულად კონტროლდება ვიდეო-სათვალთვალო სისტემით. მიუხედავად იმისა, რომ სკოლას მანდატური არ ჰყავს, დანიშნულია უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. შემუშავებულია ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის რეგულაციები, ხოლო სკოლის შიდა სივრცეში გამოკრულია საევაკუაციო გეგმები. ტერიტორიაზე უსაფრთხოებას დამატებით უზრუნველყოფს ორი დარაჯი, რომლებიც მუშაობენ დაწესებულების შიდა წესდების შესაბამისად. ასევე მოქმედებს მასწავლებელთა მორიგეობის სისტემა, რაც უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას სასწავლო პროცესის განმავლობაში. სკოლის ტერიტორია კაპიტალურადაა შემოღობილი და შენობაში დამონტაჟებულია სახანძრო უსაფრთხოების დაცვის სისტემა. დირექტორის ბრძანებით შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომელიც ერთ-ერთ დამატებით მექანიზმად მოიაზრება უსაფრთხოების, მართვისა და ზოგადი განვითარების საკითხების კონსულტირებისთვის. გარდა ამისა, შენობის ყველა სართულზე განთავსებულია ცეცხლმაქრები და მითითებულია ევაკუაციის მიმართულებები, რაც უზრუნველყოფს პირველადი სახანძრო უსაფრთხოების სტანდარტების შესრულებას.

დათვალიერებისას ასევე გამოვლინდა, რომ ქიმიის ლაბორატორიაში არ არის დამონტაჟებული გამწოვი სისტემა, რაც საჭიროებს ტექნიკურ გაუმჯობესებას უსაფრთხოების სტანდარტების სრულად შესასრულებლად. სკოლა აღნიშნულ საკითხს უკვე განიხილავს და გეგმავს შესაბამისი ტექნიკური გამართვის განხორციელებას. აქვე უნდა აღინიშნოს, ლაბორატორიას აქვს დიდი ფანჯრები და სარგებლობს ვირტუალური ლაბორატორიით.

ინდიკატორი (3.4.1.1) შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.

2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას

პირველადი სამედიცინო დახმარების უზრუნველსაყოფად, სკოლაში მოწყობილია პირველ სართულზე მდებარე სამედიცინო კაბინეტი, რომლის ინფრასტრუქტურა და ფუნქციონირება სრულად შეესაბამება მოქმედ ნორმატიულ აქტებსა და შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების რეკომენდაციებს.

კაბინეტი უზრუნველყოფილია როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათებით, ნიავდება ბუნებრივი ვენტილაციის გზით და აღჭურვილია პირველადი დახმარების გასაწევად საჭირო დანადგარებითა და ინვენტარით. მათ შორისაა: სამედიცინო ტახტი, სასწორი, სიმაღლის საზომი, საკაცი, მაცივარი და შესაბამისი კარადები. აღნიშნულ ინვენტარში განთავსებულია სკოლის გარემოში დაშვებული მედიკამენტები, ანტისეპტიკური და შესახვევი საშუალებები.

სკოლაში დასაქმებულია კვალიფიკაციური ექთანი, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჯანმრთელობის მდგომარეობაზე დროულ, საფუძვლიან და ეფექტურ რეაგირებას.

ინდიკატორის (3.4.1.2) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას

საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით სკოლა ხელმძღვანელობს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების" მოთხოვნებით.

როგორც უკვე აღინიშნა, სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, შენობაში თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასწრაფო დახმარების ცხელი ხაზის ნომერი (112), ასევე განათლების სამინისტროსა და მანდატურის სამსახურის საკონტაქტო ინფორმაცია, რაც უზრუნველყოფს უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობასა და საჭიროების შემთხვევაში დროულ რეაგირებას.

ინდიკატორის (3.4.1.3) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს

სკოლის ადმინისტრაციასთან და პედაგოგებთან გამართული ინტერვიუების საფუძველზე დგინდება, რომ სკოლა აქტიურად უზრუნველყოფს ემოციურად და ფსიქოლოგიურად უსაფრთხო სასწავლო გარემოს. დამრიგებლები მოსწავლეებს რეგულარულად აწვდიან ინფორმაციას მათ უფლებებსა და პასუხისმგებლობებზე, რაც ხელს უწყობს თვითდისციპლინის, პასუხისმგებლობის გრძნობისა და ჯანსაღი ურთიერთობების ჩამოყალიბებას.

სკოლის ინფრასტრუქტურა, მათ შორის ფართო ეზო, სპორტული მოედანი და მოსახერხებელი, განათებული კორიდორები, დამატებით უწყობს ხელს მოსწავლეთა სოციალურ ჩართულობას, ურთიერთობის კულტურის განვითარებას და პოზიტიური, ემოციურად უსაფრთხო გარემოს შექმნას.

ინდიკატორის (3.4.1.4) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

სკოლის საშტატო განრიგით განსაზღვრულია 2 დამლაგებელი, სკოლას აქვს ორივე სართულზე აღჭურვილი სველი წერტილები გოგონებისა და ვაჟებისთვის, ასევე გათვალისწინებულია ადაპტირებული სველი წერტილები. აღნიშნულ სივრცეებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური სტანდარტები, უზრუნველყოფილია ონკანებით, ნიჟარებითა და თხევადი საპნით, რაც უზრუნველყოფს უსაფრთხო და ჰიგიენურ გარემოს მოსწავლეებისა და პერსონალისათვის.

ინდიკატორის (3.4.1.5) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

სკოლაში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და პერსონალური მონაცემების დაცვისთვის დანიშნულია პასუხისმგებელი პირი - საქმისმწარმოებელი. დოკუმენტაციით დასტურდება, რომ სკოლამ უზრუნველყო პერსონალისთვის ინფორმირება პერსონალურ მონაცემთა დამუშავების და საჯარო გავრცელების წესების შესახებ, ასევე, სკოლას აქვს შემუშავებული პერსონალური მონაცემების დაცვის შიდა წესი და მონიტორინგის მექანიზმები, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის დაცვასა და სამართლებრივ კონტროლს.

ინდიკატორის (3.4.1.6.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

დირექტორის განმარტებით, სკოლა კომპიუტერულ რესურსებს იყენებს უსაფრთხოდ, ინტერნეტთან კავშირი მიმდინარეობს მხოლოდ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (EMIS) საშუალებით, ხოლო ნებისმიერი გამოყენებული პროგრამა ლიცენზირებულია. საქმისწარმოებისა და ბუღალტრულ დოკუმენტაციაზე წვდომა აქვს მხოლოდ იმ პირებს, რომელთაც ეს უფლება კონკრეტულად დადგენილი აქვთ ხელშეკრულებით, რაც უზრუნველყოფს სკოლის ინფორმაციის დაცვის მაღალ დონეს.

ინდიკატორის (3.4.1.7.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

სკოლაში ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის დანერგილია რიგი მექანიზმები, რომელთა ეფექტიანობას დირექცია პერიოდულად აკონტროლებს. ადამიანური რესურსის დაცვას უზრუნველყოფს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი და 2

დარაჯი. ასევე მოქმედებს მორიგეობის სისტემა, რომელიც პასუხისმგებელია სკოლაში უსაფრთხო გარემოსა და სივრცის ზედამხედველობაზე.

სკოლის მრჩეველთა საბჭო პასუხისმგებელია უსაფრთხოების მართვის სისტემური გაუმჯობესების პროცესზე. საბჭოში ჩართულია ადმინისტრაციული და პედაგოგიური სტრუქტურების ყველა ძირითადი რგოლი, რაც ამყარებს კოლექტიურ პასუხისმგებლობას. მორიგეობის და მონიტორინგის სისტემა მნიშვნელოვნად ამცირებს ინციდენტების ალბათობას და აუმჯობესებს კონტროლის ხარისხს.

ვინაიდან სკოლამ ვერ წარმოადგინა უსაფრთხოების შეფასების მტკიცებულებითი დოკუმენტაცია, ექსპერტთა შეფასებით, **სასურველია უსაფრთხოების შეფასების სტანდარტიზებული მეთოდოლოგიის შექმნა და უსაფრთხოების ინციდენტების რეგისტრაციისა და ანალიზის ჟურნალის დანერგვა. აღნიშნული ღონისძიებები შეუწყობს ხელს პრევენციული ღონისძიებების მიზანმიმართულ დაგეგმვას, პროცესების გამჭვირვალობის გაზრდასა და უსაფრთხოების მექანიზმების ანგარიშვალდებულების განმტკიცებას.**

ინდიკატორის (3.4.1.8.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ექთნის ხელშეკრულება;
- **პერსონალური მონაცემების დაცვის წესი;**
- სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დადებითი დასკვნა;
- საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;
- დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული - ფიზიკური უსაფრთხოების დოკუმენტი.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

ექსპერტთა მიერ გადამოწმდა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და ადგილზე დათვალიერდა ფაქტობრივი მდგომარეობა, რომლის შედეგად დადგინდა, რომ სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ბორჯალოს საჯარო სკოლა განთავსებულია ორსართულიან შენობაში (საერთო ფართი 16303 კვ.მ.) სასწავლო პროცესი მიმდინარეობს ერთცვლიან რეჟიმში, რაც უზრუნველყოფს სწავლის ორგანიზებისთვის ხელსაყრელ პირობებსა და სასკოლო დღის რაციონალურ განაწილებას. სკოლის ინფრასტრუქტურა შესაბამისობაშია უსაფრთხოების და ხელმისაწვდომობის სტანდარტებთან. შენობა რეაბილიტირებულია და სრულად ადაპტირებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის დამონტაჟებულია ლიფტი და უზრუნველყოფილია სივრცეთა ფიზიკური ხელმისაწვდომობა.

ფაქტობრივი მონაცემებით, სკოლა აღჭურვილია საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ეფექტიან მიმდინარეობას. სკოლას აქვს შემდეგი სივრცეები და აღჭურვილობა:

- კომპიუტერული ლაბორატორია (6 ლეპტოპი);
- საბუნებისმეტყველო ლაბორატორია;
- რესურსოთახი;
- ბიბლიოთეკა;
- სპორტული მოედანი;
- სამედიცინო კაბინეტი;
- სასწავლო ოთახები;
- ადაპტირებული სველი წერტილები;
- 12 საკლასო ოთახი;
- სააქტო დარბაზი;
- უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის ოთახი.

აღნიშნული რესურსები სრულად შეესაბამება ზოგადი განათლების დაწესებულების ინფრასტრუქტურის მინიმალურ სტანდარტებს და უზრუნველყოფს როგორც სასწავლო, ისე არასწავლო აქტივობების ჩატარების შესაძლებლობას. 2025 წლის მონაცემებით, სკოლაში სწავლობს 96 მოსწავლე.

ინდიკატორის (3.5.1.1) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სკოლის საერთო სარგებლობის სივრცეები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის სამუშაო დღეებისა და საათების განმავლობაში. დირექციასთან შეთანხმების საფუძველზე, აღნიშნული სივრცეების გამოყენება შესაძლებელია არასასწავლო პერიოდშიც - დასვენების, კომუნიკაციისა და თანამშრომლობის მიზნით.

სკოლამ შეიმუშავა სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოლაჯურის საჯარო სკოლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსების განკარგვის წესი. თუმცა, მსგავსი წესის დოკუმენტირება ჯერ არ ხორციელდება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებისთვის, **რის გამოც სკოლას მიეცა რჩევა: შეიმუშაოს შესაბამისი პროცედურები და რეგულაციები, რომლებიც განსაზღვრავს რესურსების ტიპებს, გამოყენების წესებსა და პასუხისმგებლობათა განაწილებას, რათა უზრუნველყოს მათი სამართლიანი, ეფექტიანი და უსაფრთხო გამოყენება.**

ინდიკატორის (3.5.1.2.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

სკოლის ბიბლიოთეკა ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი მოიცავს მხატვრულ ლიტერატურას და სასკოლო სახელმძღვანელოებს. სკოლას ჰყავს ბიბლიოთეკარი, რომელიც პასუხისმგებელია ფონდის მართვასა და ბიბლიოთეკის მუშაობის ორგანიზებაზე.

ინდიკატორის (3.5.1.3.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

სკოლის შესასვლელებთან მოწყობილია ადაპტირებული პანდუსები, ხოლო ორივე სართულზე გადაასადგილებლად ფუნქციონირებს ლიფტი, მოწყობილია ადაპტირებული სველი წერტილები. სკოლაში არსებული ინფრასტრუქტურა ქმნის უსაფრთხო, ინკლუზიურ და თანასწორ საგანმანათლებლო გარემოს.

ინდიკატორის (3.5.1.4.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

სკოლის შენობა გამოირჩევა ფართო, ნათელი დერეფნებითა და საკლასო ოთახებით, რაც ქმნის კომფორტულ, ჯანმრთელ და ფსიქოლოგიურად ხელსაყრელ გარემოს სასწავლო პროცესისთვის. სკოლას აქვს დიდი ეზო, სააქტო დარბაზი, ასევე სპორტული მოედანი, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ფიზიკური აქტივობისა და რეკრეაციული დასვენების შესაძლებლობას.

საკლასო ოთახები აღჭურვილია თანამედროვე სასწავლო ინვენტარით: ინდივიდუალური მერხებით, სასკოლო დაფებით, მასწავლებლის მაგიდებით, კარადებითა და სხვა საჭირო საგანმანათლებლო საშუალებებით. მოსწავლეები უზრუნველყოფილნი არიან სასკოლო სახელმძღვანელოებით და დამატებითი სასწავლო რესურსებით, რაც ხელს უწყობს საგნობრივი მასალის უკეთეს ათვისებას და სწავლების ხარისხის ამაღლებას.

ინდიკატორის (3.5.1.5.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- წიგნადი ფონდის კატალოგი;
- სკოლის მატერიალური რესურსის ინვენტარიზაციის დოკუმენტი;
- მიღება ჩაბარების აქტები;
- ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სკოლაში ფუნქციონირებს კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც ხელმისაწვდომია მოსწავლეებისთვის როგორც საგაკვეთილო, ისე არასაგაკვეთილო პერიოდში. ლაბორატორიაში განთავსებულია 6 ლეპტოპი. სკოლა სარგებლობს უსადენო ინტერნეტით (Wi-Fi), რაც უზრუნველყოფს როგორც სასწავლო პროცესის, ისე ადმინისტრაციული საქმიანობის უწყვეტობასა და ეფექტიანობას.
წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ სკოლის კომპიუტერული ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს მოსწავლეთა და პედაგოგთა საჭიროებებს. სკოლას აქვს ასევე 5 კომპიუტერი, 3 პროექტორი და 3 პრინტერი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლამ გაითვალისწინა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის (2023) რეკომენდაცია და ლაბორატორია აღჭურვა კომპიუტერებით.
ინდიკატორის (3.6.1.1.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

როგორც უკვე აღინიშნა სკოლამ გაითვალისწინა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის (2023) რეკომენდაცია და სკოლა უზრუნველყო კომპიუტერებით. დირექტორითან გასაუბრებით დგინდება, რომ უახლოეს მომავალში სკოლა ელოდება კომპიუტერების დამატებას.
ვიზიტის პერიოდში დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ კომპიუტერები განთავსებულია სამასწავლებლოში, რესურსოთახში, ერთ საკლასო ოთახში, ბუღალტერთან, საქმისმწარმოებელთან, ბიბლიოთეკაში, ექთნის ოთახში. სივრცეებში განთავსებულია ასევე ტექნიკის გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელნი არიან ინფორმაციული ტექნოლოგიების პედაგოგი და ის მასწავლებლები, რომლებიც კონკრეტულ დროს მუშაობენ მოსწავლეებთან საერთო სამუშაო სივრცეში. აღნიშნული მექანიზმი უზრუნველყოფს ტექნოლოგიური რესურსების უწყვეტად და უსაფრთხოდ გამოყენებას.
ინდიკატორის (3.6.1.2.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები;
- ინვენტარიზაციის დოკუმენტაცია.

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად
ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლას დამტკიცებული აქვს საქმისწარმოების წესი, ხოლო დოკუმენტბრუნვის პროცესში გამოიყენება ელექტრონული სისტემა. სკოლაში შემოსული მატერიალური კორესპონდენცია და განცხადებები რეგისტრირდება ელექტრონულ ფორმატში, რასაც დეტალურად განსაზღვრავს საქმისწარმოების წესი.
დირექტორის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები იტვირთება Eflow სისტემაში, ედება შესაბამისი რეგისტრაციის ნომერი და აისახება ბრძანებათა ველში. ელექტრონული ფოსტით შემოსული დოკუმენტაცია გადამისამართდება პასუხისმგებელ პირებთან, პასუხების მომზადება და გაგზავნაც ხორციელდება ელექტრონულად, რაც უზრუნველყოფს დოკუმენტბრუნვის გამჭვირვალობასა და ეფექტიანობა

ინდიკატორის (3.6.1.1.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლაში ფუნქციონირებს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა (Eflow), რომელიც უზრუნველყოფს დოკუმენტების სწრაფ, კონტროლირებად და უსაფრთხო გამოყენებას.

სკოლა სარგებლობს ასევე სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ ადმინისტრირებულ ერთიანი პლატფორმით - **eSchool.emis.ge**, სადაც შეყვანილია სკოლის ძირითადი მონაცემები.

გარდა ამისა, კორესპონდენციის მისაღებად და ინფორმაციის გაცვლის მიზნით, სკოლა იყენებს ელექტრონულ ფოსტას:Bolajuri@mes.gov.ge

ინდიკატორის (3.6.1.2.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (EMIS) სკოლას გააჩნია სრულყოფილი პროფილი, რომელშიც ასახულია სკოლის იურიდიული და ადმინისტრაციული მონაცემები, მოსწავლეთა და პერსონალის ინფორმაცია, კლასების სტრუქტურა, სასწავლო გეგმა და სხვა მნიშვნელოვანი პროცესები.

ინდიკატორის (3.6.2.3) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

სკოლა, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, სისტემატურად თანამშრომლობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ადგილობრივ ორგანოსთან, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან, სამინისტროს სსიპ-ებთან და სხვა შესაბამის ინსტიტუტებთან.

ინდიკატორის (3.6.2.4) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის პროფილი;
- საქმისწარმოების წესი;
- გამოცემული აქტები;

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლამ გაითვალისწინა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის (2023) რეკომენდაცია და სკოლის ინფორმაციის საჯაროობისთვის ხელმისაწვდომი გახადა რამდენიმე არხი: სკოლის ოფიციალური Facebook გვერდი, Microsoft Teams პლატფორმა და სკოლის ვებგვერდი, აღნიშნული კომუნიკაციის არხები უზრუნველყოფს სკოლის საქმიანობის გამჭვირვალობას, აძლიერებს სასკოლო საზოგადოების ინფორმირებულობას და ხელს უწყობს სკოლის პოზიტიური საჯარო იმიჯის ჩამოყალიბებასა და განვითარებას.

ინდიკატორის (3.6.3.1) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ სკოლის სოციალური ქსელის ოფიციალურ გვერდზე რეგულარულად ქვეყნდება ინფორმაცია მიმდინარე და დასრულებული საგანმანათლებლო პროექტების, ღონისძიებების, კონკურსების, ინტელექტუალურ შეჯიბრებების, ოლიმპიადებისა და სხვა აქტივობების შესახებ.

აკადემიური მოსწრების მონაცემები განთავსებულია ელექტრონულ ჟურნალში, რომელიც ხელმისაწვდომია შესაბამის მასწავლებლებსა და მოსწავლეთა მშობლებისთვის. ინფორმაციის გაცვლა და მიმოცვლა ასევე ხორციელდება სკოლის ოფიციალური ელექტრონული ფოსტის საშუალებით, რაც უზრუნველყოფს კომუნიკაციის ეფექტიანობას, მონაცემების უსაფრთხო დაცვას და ინფორმაციის დროულ მიწოდებას.

ინდიკატორის (3.6.3.2) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

დადგინდა, რომ სკოლა იყენებს სოციალურ მედიას და ელექტრონულ ფოსტას როგორც ინფორმაციის გავრცელების, ასევე საზოგადოებისგან უკუკავშირის მიღების ძირითადი არხებად. მიღებული მოსაზრებები, რეკომენდაციები და შენიშვნები რეგულარულად განიხილება ადმინისტრაციის მიერ და გამოიყენება სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით.

სკოლას მიეცა რჩევა, უკუკავშირის მიღებისა და გამოყენების არსებული პრაქტიკა დოკუმენტურად განამტკიცოს. ეს უზრუნველყოფს როგორც მიღებული ინფორმაციის სისტემურ ანალიზს, ისე მიღებულ გადაწყვეტილებებში გამჭვირვალობას. ასევე მიზანშეწონილია მკაფიოდ განისაზღვროს, თუ რა ფორმით და მექანიზმებით გამოიყენება ეს ინფორმაცია სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისთვის.

აღნიშნული მიდგომა სკოლას მისცემს შესაძლებლობას უფრო თვალსაჩინოდ წარმოაჩინოს, როგორ რეაგირებს საზოგადოებისგან მიღებულ შეფასებებსა და შეთავაზებებზე.
ინდიკატორის (3.6.3.2) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლას აქვს ვებგვერდი Admin School Web Portal, სადაც სკოლის შესახებ საჯარო ინფორმაცია არის განთავსებული ქართულ ენაზე და ხელმისაწვდომია დაინტერესებულ პირთათვის.
ინდიკატორის (3.6.3.4) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

სკოლის ვებგვერდი https://skolebi.emis.ge/ შეიცავს ინფორმაციას სკოლის შესახებ, მათ შორის: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, შვიდწლიანი სტრატეგიული და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის შესახებ ინფორმაცია, ასევე სკოლის შინაგანაწესი და ინდიკატორით განსაზღვრული სხვა საკითხები.
ინდიკატორის (3.6.3.5) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის ვებგვერდის https://skolebi.emis.ge/ დათვალიერების შედეგები;
- სოციალური ქსელის (Facebook) სკოლის ოფიციალურ გვერდის დათვალიერების შედეგები;
- სკოლის ელექტრონული ფოსტა;
- ელექტრონული სისტემა - „eflow";
- eSchool.emis.ge.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები
3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლის ბიუჯეტი დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ, ხოლო ფინანსური მართვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობისა და ბიუჯეტის შესახებ მოქმედი ნორმატიული აქტების სრული შესაბამისობით. ფინანსური რესურსები მიზნობრივად ნაწილდება სკოლის სამოქმედო გეგმის შესრულების უზრუნველსაყოფად, რაც განაპირობებს დაგეგმილი სასწავლო, საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესების ეფექტიან და ხარისხიან განხორციელებას.

ინდიკატორის (3.7.1.1.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სკოლაში ბიუჯეტის დაგეგმვა და ანალიზი ხორციელდება დირექციის, სტრუქტურული ერთეულებისა და ბუღალტრის ერთობლივი მუშაობით. მომზადებული ბიუჯეტის პროექტი წარდგენილია სამეურვეო საბჭოს, რომელიც საჭიროების შემთხვევაში იკრიბება ბიუჯეტის კორექტირებული ვერსიის განსახილველად.

წლის ბოლოს სკოლის დირექტორი სამეურვეო საბჭოს წარუდგენს წლიური ბიუჯეტის ანგარიშს, სადაც დეტალურად არის ასახული შემოსავლებისა და ხარჯების შესრულება. ეს უზრუნველყოფს ფინანსური პროცესების გამჭვირვალობას და საბჭოს ეფექტიან მონიტორინგს.

ინდიკატორის (3.7.1.2.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის ბიუჯეტი;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმები;
- ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების დოკუმენტი.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სოფელ ბოლაჯურის საჯარო სკოლის მიერ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებიდან დასტურდება, რომ სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა. აღნიშნული ინდიკატორის დადასტურებას სკოლა ახდენს შინაგანაწესში გაწერილი მუხლების თანახმად. ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება. მოსწავლეთა თვითმმართველობა სკოლაში მოქმედებს, როგორც საშუალო, ასევე საბაზო საფეხურზე. მოსწავლეთა თვითმმართველობა მონაწილეობს დისციპლინურ კომიტეტში და სამეურვეო საბჭოში, სადაც მოსწავლეები ახდენენ თავიანთი უფლებებისა დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფას.

სკოლის შინაგანაწესი არის საჯარო და გაზიარებული სასკოლო საზოგადოების მიერ. სკოლაში ვიზიტისას დათვალიერების და ინტერვიუების საფუძველზე დადასტურდა, რომ სკოლის შინაგანაწესი არის საჯარო და მას იცნობს სასკოლო საზოგადოება. კლასების დამრიგებლები სხვადასხვა აქტივობებით სწავლის დაწყების წინ აცნობენ მშობლებსა და მოსწავლეებს შინაგანაწესს - მათ უფლებებსა და მოვალეობებს. ინფორმაციის გაცნობა ხდება სადამრიგებლო შეხვედრებზე (მშობელთა კრება, კლასის საათი) ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა დამრიგებლების პორტფოლიოები, სადაც წარმოდგენილია განხორციელებული აქტივობების დამადასტურებელი მასალები. მშობლებთან დადებულ ხელშეკრულებებში გათვალისწინებულია სკოლის შინაგანაწესის გაცნობა, რაც დადასტურებულია მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის ხელმოწერით. ვიზუალური დათვალიერების დროს დადასტურდა, რომ შინაგანაწესი გამოკრულია საინფორმაციო დაფაზე.

სკოლის მიერ შემუშავებული შიდა რეგულაციებით: სკოლის შინაგანაწესი, სკოლის წესდება, მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება, პერსონალურ ინფორმაციათა დაცვის მარეგულირებელი წესი და მონიტორინგის მექანიზმები და რეგულაციები, სკოლასა და

მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორს დადებული ხელშეკრულებები მოწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვას სრულად უზრუნველყოფს.

ინდიკატორის (4.1.1.1.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

სკოლის შინაგანაწესში გათვალისწინებულია უფლებების დაცვის მექანიზმები. აღნიშნული დოკუმენტის პროექტი ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან. პედაგოგებისათვის სკოლის შინაგანაწესის გაცნობა ხდება პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე. მოსწავლის კანონით გარანტირებული უფლებების დაცვის ამსახველი დოკუმენტი - შინაგანაწესი გამოკრულია სკოლის ფოიეში, თვალსაჩინო ადგილას.

ინდიკატორის (4.1.1.2.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება

სკოლაში ვიზიტისას ვიზუალური დათვალიერების შედეგად დადასტურდა, რომ სკოლას გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან. გაფორმებული ხელშეკრულებებში განსაზღვრულია სკოლის საქმიანობა, მხარეთა უფლება-მოვალეობები, ხელშეკრულების საგანი, სასწავლო დრო, დასვენების დრო, უქმე დღეები, ხელშეკრულების შეწყვეტის წესი, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და დავის გადაწყვეტა, მხარეთა ხელმოწერები. ხელშეკრულებაში გაწერილი პუნქტები მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული. სკოლაში ვიზიტის განხორციელების ეტაპისათვის ირიცხება 95 მოსწავლე. ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო მშობელსა და სკოლას შორის გაფორმებული ხელშეკრულებებს, რომელიც კანონის ფარგლებშია და არეგულირებს მხარეების უფლება-მოვალეობებს. ხელშეკრულება გაფორმებულია ყველა მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან.

ინდიკატორის (4.1.1.3.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის შინაგანაწესი;
- სკოლასა და მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის გაფორმებული ხელშეკრულება;
- რეფერირების წესი.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლა მოსწავლეთათვის სტატუსის შეჩერებისა და აღდგენის დროს ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N04/ნ ბრძანების შესაბამისად. სსსმ მოსწავლეთა ჩარიცხვა სკოლაში ხდება მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე. საფეხურის დაძლევის გამჭირვალე მექანიზმი სკოლას გაწერილი აქვს სასკოლო სასწავლო გეგმაში. სკოლა პრაქტიკით ადასტურებს, რომ მოსწავლეებისათვის, მათი კანონიერი წარმომადგენლებისათვის საფეხურის დაძლევის შესახებ ინფორმაციის მიწოდება ხდება სწავლის დაწყებისას პირველ კრებაზე.

ინდიკატორის (4.1.2.1.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით დასტურდება საფეხურის დაძლევის მექანიზმები. სკოლის პრაქტიკით დასტურდება, რომ ის იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესს. მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვა შესაძლებელია მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის განცხადების საფუძველზე, კლასებში არსებული ვაკანტური ადგილების გათვალისწინებით. მოსწავლის ჩარიცხვა და სტატუსის შეჩერება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის N04/ნ ბრძანების „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვის და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ" საფუძველზე. სკოლის პრაქტიკით დასტურდება, რომ მოსწავლის მიერ საფეხურის დაძლევის საკითხი განიხილება პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე, რაც დასტურდება შესაბამისი ოქმითა და დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით.

ინდიკატორის (4.1.2.2.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სოფელ ბოლაჯურის საჯარო სკოლა ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების სერვისის მიწოდებას უზრუნველყოფს დაწყებით-საბაზო-საშუალო საფეხურებზე. აღნიშნული სერვისის შესახებ ძირითადი ინფორმაცია განთავსებულია სასკოლო-სასწავლო გეგმაში, რომლის დანერგვაც წარმოებს საგნობრივი კურიკულუმების მეშვეობით. აღნიშნული საკითხების შესახებ საზოგადოებას/მოსწავლეთა მშობლებს ინფორმაცია მიეწოდებათ სკოლის დირექციისაგან და მასწავლებლებისაგან. საამისოდ გამოყენებული აქვთ დასწრებითი შეხვედრების ფორმატი (მშობელთა კრება. სკოლას მის მიერ განხორციელებული ზოგადსაგანმანათლებლო სერვისის შესახებ საჯარო ინფორმაცია

განთავსებული აქვს ვებგვერდზე. მოცემული ეტაპისთვის სკოლას მოსწავლეებისათვის შეთავაზებული არ აქვს ფასიანი სერვისი. სკოლა ინფორმაციის მიწოდებას უზრუნველყოფს დამრიგებელი სასკოლო კრებებზე.

ინდიკატორის (4.1.2.3.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული

სკოლა პრაქტიკით ადასტურებს, რომ განახლებულ ინფორმაციას სისტემატურად აწვდის მშობლებს დამრიგებლების მეშვეობით. სხვადასხვა პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ ინფორმაცია ვრცელდება სხვადასხვა პლატფორმის, პირისპირ შეხვედრის საშუალებით. სკოლის წარმომადგენლებმა ინტერვიუს დროს დააზუსტეს, რომ აქტიურად იყენებენ საინფორმაციო დაფას. პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია ოფიციალურ გვერდზე. სკოლის პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ კანონმდებლობასთან წინააღმდეგობაში არ მოდის.

ინდიკატორის (4.1.2.4.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- Eschool-ის ბაზა
- მოსწავლეთა პირადი საქმეები.
- სასკოლო სასწავლო გეგმა.
- სკოლის შინაგანაწესი.
- საფეხურის დაძლევის ბრძანება
- სსსმ მოსწავლის ჩარიცხვის ბრძანება;
- ამორიცხვის ბრძანება;
- პედ. საბჭოს ოქმი საფეხურის დაძლევა;
- მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნა სსსმ მოსწავლეზე;
- მეორე უცხო ენა- მშობელთა კრების ოქმი;
- მოსწავლის ჩარიცხვის ბრძანება;
- მოსწავლის ამორიცხვის ბრძანება;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლას ცალკე დოკუმენტის სახით აქვს წარმოდგენილი მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი, სკოლა ასევე პრაქტიკით ადასტურებს, რომ ადმინისტრაცია პრველკლასელი მოსწავლეების და მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების მშობლებს, მათთვის ხელმისაწვდომი ფორმით, აწვდის დეტალური ინფორმაციას სასწავლო პროცესის ორგანიზების მიმართულებით არსებული და სასწავლო პროცესის მიმდინარეობის დროს დასაცავი რეგულაციების შესახებ. სკოლამ წარმოადგინა სკოლამდელი დაწესებულების აღსაზრდელებისა და მათი მშობლების ვიზიტის დამადასტურებელი მასალები. ინტერვიუთი დაზუსტდა, რომ აღნიშნული პრაქტიკით სკოლის ადმინისტრაცია მიზნად ისახავს მოსწავლეთა სასწავლო გარემოსთან ადაპტაციას.

ინდიკატორის (4.2.1.1.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან

სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან. წარმოდგენილი მასალები (დამრიგებლების პორტფოლიოები, განხორციელებული აქტივობის უკუკავშირი) მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი სკოლის პრაქტიკიდან გამომდინარეა შექმნილი. სკოლას აქვს პრაქტიკა, რომ სკოლა სწავლის დაწყების მომენიდან ზრუნავს, რათა მოხდეს მოსწავლეთა ადაპტაცია სასწავლო გარემოსთან. ამ მიზნით ეწყობა პირველ კლასში შემსვლელ მოსწავლეთათვის ღონისძიება, მათთვის სკოლის გაცნობა. თითოეული კლასის დამრიგებელი უზრუნველყოფს მოსწავლეთათვის სასკოლო გეგმის, დაგეგმილი აქტოვობების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, აცნობს სკოლის შინაგანაწესსა და მოსწავლეთა/მშობელთა უფლებებსა და მოვალეობებს.

ინდიკატორის (4.2.1.2.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად

სკოლაში ვიზიტისას შესწავლილი დოკუმენტებიდან დასტურდება, რომ აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებისა და სწავლის პროცესის მხარდაჭერის მიზნით საკონსულტაციო ფორმით დახმარებას უწევს მოსწავლეებს. ვიზიტისას ინტერვიუთი დაზუსტდა, რომ სკოლაში დაგეგმილი გამოცდების შესახებ ინფორმაცია საჯაროა და განთავსებულია სკოლის შიდა სივრცეში, საინფორმაციო დაფაზე. სკოლა სასწავლო პროცესში იყენებს განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტებს: თვითშეფასება, ურთიერთშეფასება, მასწავლებლის ზეპირი თუ წერილობითი უკუკავშირი, რაც ეხმარება მოსწავლეებს სწავლაში და შედეგების გაუმჯობესებაში. სკოლის ელექტრონული ჟურნალი ხელს უწყობს მოსწავლის, მშობელის დროულ ინფორმირებას. მოსწავლეებს სკოლის შიდა წლიური, სემესტრული და ექსტერნის გამოცდების წინარე პერიოდში საკონსულტაციო გრაფიკის მიხედვით უტარდებათ მეცადინეობები.

ინდიკატორის (4.2.1.3.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით

სკოლის პრაქტიკა ადასტურებს, რომ სასწავლო წლის დასაწყისში დამრიგებლები კრებებზე მოსწვლის მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს უზიარებენ სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულ რეგულაციებს მოსწავლეების გაცდენების, გამოცდების, შემაჯამებელი დავალებების, შემაჯამებელი დავალების აღდგენის და სხვა წესის შესახებ. ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა დამრიგებლის პორტფლიო, სადაც ცალკე დოკუმენტის სახით წარმოდგენილი იყო ოქმი, რომლითაც ხელმოწერით დასტურდება, რომ დამრიგებლები მშობლებს აცნობენ შინაგანაწესით განსაზღვრულ უფლებებსა და მოვალეობებს. ვიზიტის დროს ინტერვიუთი დაზუსტდა, რომ სკოლის დირექცია და ადმინისტრაცია უზრუნველყოფს მოსწავლეთათვის და მათი კანონიერი წარმომადგენლებისათვის ინფორმაციის დროულად მიწოდებას, რათა მათ საკუთარი უფლების დაცვის რეალიზების საშუალება ჰქონდეთ.

ინდიკატორის (4.2.1.4.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას

სკოლის მიერ წახალისებულია მოსწავლეთა მხრიდან ინიციატივები. სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა ,,მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის წესი“ (ბრძანება N 76.), რომლის საფუძველზე სკოლა ითვალისწინებს და ანხორციელებს მოსწავლეთა მხარდამჭერ აქტივობებსა და ღონისძიებებს. წარმოდგენილი მასალებით დასტურდება, რომ სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების

წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას. კერძოდ, პერსონალის აქტიური მონაწილეობით იგეგმება სკოლის მოსწავლეთა არაფორმალური აქტივობები, როგორიცაა ექსკურსიები, თეატრებში გასვლით ღონისძებები, სასკოლო პროექტები. ყველა აღნიშნული ღონისძება ეწყობა კანონით დადგენილი პროცედურების დაცვით. მაგ; სკოლა ექსკურსიის მოწყობის დროს იცავს მოქმედ რეგულაციას. სკოლის პრაქტიკით დასტურდება მოსწავლეთა ინტერესების, სურვილებისა და პრობლემების იდენტიფიცირებისათვის განხორციელებული აქტივობები - დაკვირვება, გამოკითხვა. სკოლამ ვიზიტის დროს წარმოადგინა მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება, რომლითაც დასტურდება, რომ მოსწავლეთა თვითმმართველობა მოსწავლეთა ინტერესების შესაბამისად შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას და აქვს შესაძლებლობა, შექმნას სასკოლო კლუბები, გამოთქვას შესაბამისი ინიციატიცა.

დირექციის წარმომადგენლებთან ინტერვიუსას და წარმოდგენილი დოკუმენტაციით დადგინდა, რომ სკოლაში ფუნქციონირებს ქართული ენის კლუბი „ ლინგვისტები'', ასევე სკოლა აქტიურად თანამშრომლობს რეგიონული განვითარების ფონდათან, რომლის პარტნიორობითაც სკოლაში ფუნქციონირებს ინგლისური ენისა და თეატრალურის წრე, სტემ კლუბი, ასევე, ხორციელდება სხვა შემოქმედებითი და სპორტული აქტივობები. მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივითა და უშუალო მონაწილეობით ორგანიზებულია სხვადასხვა საინფორმაციო შეხვედრები და სასწავლო პროექტები.

ინდიკატორის (4.2.1.5.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას

სასწავლო წლის დასაწყისში დამრიგებლები კრებებზე მოსწვლის მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს უზიარებენ სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულ რეგულაციებს მოსწავლეების გაცდენების, გამოცდების, შემაჯამებელი დავალებების, შემაჯამებელი დავალების აღდგენის და სხვა წესის შესახებ. ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა დამრიგებლის პორტფლიო, სადაც ცალკე დოკუმენტის სახით წარმოდგენილი იყო ოქმი, რომლითაც ხელმოწერით დასტურდება რომ დამრიგებლები მშობლებს აცნობენ შინაგანაწესით განსაზღვრულ უფლებებსა და მოვალეობებს. ვიზიტის დროს ინტერვიუთი დაზუსტდა, რომ სკოლის დირექცია და ადმინისტრაცია უზრუნველყოფს მოსწავლეთათვის და მათი კანონიერი წარმომადგენლებისათვის ინფორმაციის დროულად მიწოდებას, რათა მათ საკუთარი უფლების დაცვის რეალიზების საშუალება ჰქონდეთ.

ინდიკატორის (4.2.1.6.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის შინაგანაწესი:
- სასკოლო სასწავლო გეგმის პროქტი;
- მოსწავლეთა შემაჯამებელი დავალებები და შეფასების რუბრიკები;
- სამოქალაქო განათლების კლუბის მიერ მომზადებული და განხორციელებული პროექტები: მოსწავლეთა პროფესიული განათლების მიმართულებით და გენდერული საკითხების მიმართულებით

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების მოსწავლეთათვის ხელმისაწვდომობის მიზნით სკოლაში მოქმედებს სადამრიგებლო პროგრამა. ვიზიტის დროს სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა კარიერული მხარდაჭერის მექანიზმების დამტკიცების შესახებ ბრძანება N 19. სკოლის მიერ წარმოდგენილი დამრიგებლების პორტფოლიოები ადასტურებს, რომ სადამრიგებლო საათის ფარგლებში პედაგოგები ანხორციელებენ აქტივობებს სხვადასხვა პროფესიების პოპულარიზების მიზნით. აწყობენ ვიზიტებს სხვადასხვა პროფესიულ და უმაღლეს სასწავლებლებში. დამრიგებლის პორტფოლიოში წარმოდგენილი მასალებით დასტურდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს სხვადასხვა პროფესიული სასწავლებლების წარმომადგენლებთან შეხვედრებს, ადგილზე მოსწავლეთა ვიზიტებს. სკოლას ურთიერთობა აქვს აქვს ახალციხის მუნიციპალიტეტში განთავსებულ პროფესიულ სასწავლებელთან. შესაბამისი მეორანუმები გაფორმებულია: შპს „აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტთან“ და სსიპ „სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტთან“. სკოლა ახორციელებს სხვადასხვა სახის პროექტებს, რომელიც მიზნად ისახავს პროფესიული კარიერის დაგეგმვის ხელსემწყობი უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

ინდიკატორის (4.2.2.1.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სკოლისთვის მნიშვნელოვანი საკითხია კარიერული დაგეგმვის პროგრამის შემუშავება და აღნიშნულ პროცესში მშობელთა ჩართულობა. სადამრიგებლო პროგრამით დასტურდება, რომ სკოლა სააღმზრდელო საათს იყენებს იმისათვის, რომ მოსწავლეებს მიაწოდონ ინფორმაცია კარიერული განვითარების შესაძლებლობების შესახებ. სკოლაში გეგმაზომიერად ეწყობა უმაღლესი სასწავლებლების მხრიდან ღია კარის დღეები და იმართება სამუშაო შეხვედრები პროფესიულ სასწავლებლების წარმომადგენლებთან. კარიერული დაგეგმვის მხარდაჭერის სისტემის ფარგლებში დამრიგებლები აქტიურად არიან ჩართული მოსწავლეთათვის შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნადი პროფესიების შესახებ ინფორმაციის მიწოდებასა და მოსწავლეთა ინტერესების გამოკვეთაში.

ინდიკატორის (4.2.2.2.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მიმართულებით სკოლაში განხორციელებული აქტივობები ითვალისწინებს მოსწავლეთა ინტერესებს. სკოლის პრაქტიკით დასტურდება, რომ სხვადასხვა დაწესებულებებში ვიზიტებს გეგმავს მოსწავლეების

სურვილებისა და ინტერესების გათვალისწინებით. ინტერვიუთი დაზუსტდა, რომ სკოლა გეგმავს სხვადასხვა აქტივობებს მშობლების ჩართულობით, სადაც პროფესიების შერჩევის შესახებ მართავს საუბრებს და არსებული გამოწვევების შესახებ საკუთარ გამოცდილებას უზიარებს მოსწავლეებს.

ინდიკატორის (4.2.2.3.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;
- დამრიგებლის საათის თემატიკა;
- სამოქალაქო განათლების კლუბის მიერ განხორციელებული პროექტები;
- მრჩეველთა საბჭოს შემქნის ბრძანება N 58/დ 15/09/25;
- ბრძანება N 65 – 20.09.2025 - პირველადი დახმარების აღმოჩენისა და სასკოლო ჰიგიენის დაცვის წესის შესახებ;
- ბრძანება N 67 - ფიზიკური უსაფრთხოების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ;
- ბრძანება N 74 , 21.11.2025 წელი - პერსონალური მონაცემების დაცვის პოლიტიკის შესახებ დამტკიცების დოკუმენტი;
- ბრძანება N 76, 2025 წ. მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის წესი.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სკოლამ ვიზიტისას წარმოადგინა სასკოლოო სასწავლო გეგმა, სადაც განსაზღვრული აქვს სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისებით მიწოდების რეგულაცია. სკოლაში მოქმედებს ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა, სადაც გაწერილია შესაბამისი აქტივობები, ვადები და პასუხისმგებელი პირები. ინტერვიუს დროს სკოლის დირექტორმა დააზუსტა, რომ ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურზე, სწავლის დაწყებამდე, მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შეფასება ხდება მშობლის მომართვის საფუძველზე, სკოლის მხრიდან მულტიგუნდისთვის ინფორმაციის მიწოდების გზით. სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა დირექტორის ბრძანება N 66, რომლითაც განსაზღვრულია სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმები. სკოლას აქვს მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნა, რომლის რეკომენდაციების საფუძველზეც მოსწავლეებს (ორი მოსწავლე) სჭირდებათ ინდივიდუალური სამოქმედო გეგმებით მუშაობა. თუმცა გამომდინარე იქედან, რომ მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნა არის ძველი და საჭიროებს ხელახალ შეფასებას, წარმოდგენილი ინდივიდუალური გეგმები არ არის რელევანტური და არ შეესაბამება

მოსწავლეთა საჭიროებებს. ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა სტანდარტებთა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმად, სკოლა მიმართავს სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ინკლუზიური და სპეციალური განათლების მხარდამჭერ ცენტრს ამ მოსწავლეთა აკადემიური შესაძლებლობების გადამოწმების მიზნით, რათა გამოჩნდეს პროგრესის ამსახველი სურათი, რომელიც საშუალებას მისცემს მასწავლებლებს შეიმუშაონ ინდ გეგმები ან გააგრძელონ მუშაობა რემედიაციით. შესრულების ვადად განსაზღვრულია 2026 წლის 30 იანვარი. აღნიშნულიდან გამომდინარე სკოლას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია - **გააგრძელოს ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელება, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს სსსმ მოსწავლეთა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების ხელახალ შეფასებას მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნების განახლებისა და მოსწავლეთა მიმდინარე საჭიროებების შესაბამისი ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების მიზნით. ამ პროცესში სკოლამ უნდა ითანამშრომლოს სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ინკლუზიური და სპეციალური განათლების მხარდამჭერ ცენტრთან, რათა 2026 წლის 30 იანვრამდე უზრუნველყოს მოსწავლეთა აკადემიური შესაძლებლობების გადამოწმება და პროგრესის ამსახველი სურათის მიღება, რაც საფუძვლად დაედება მასწავლებლების მიერ ინდივიდუალური გეგმების შემდგომ განვითარებას ან რემედიაციული მუშაობის გაგრძელებას.**

ინდიკატორი (4.2.3.1.) შეფასდა როგორც "მეტწილი შესაბამისობა"

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სკოლაში სსსმ მოსწავლეებისათვის გამოყოფილია რესურს/ოთახი, სადაც საკმარისი პირობაა შექმნილი იმისათვის, რომ სსსმ მოსწავლეებმა შესაბამისი მხარდაჭერა მიიღონ. სპეციალური მასწავლებელი საგნის მასწავლებლებთან ერთად ასევე ჩართულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის განხორციელების პროცესში: ინტენსიურად თანამშრომლობენ, ერთობლივად გეგმავენ შემდგომ სამუშაო სტრატეგიებს. სპეციალური მასწავლებელი თითოეულ მოსწავლესთან ინდივიდუალური საჭიროებიდან გამომდინარე ესწრება საგაკვეთილო პროცესს, მასწავლებელთან წინასწარ შეთანხმების საფუძველზე. გაკვეთილზე დასწრების მიზანი შესაძლებელია იყოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მონიტორინგი, მოსწავლის საგაკვეთილო პროცესში ჩართულობის შეფასება, ქცევაზე დაკვირვება. გაკვეთილზე დაკვირვების შედაგად მიღებული ინფორმაციის განხილვა ხდება კონკრეტული საგნის მასწავლებელთან. სპეციალური მასწავლებელი საგნის მასწავლებელს აძლევს შესაბამის როგორც წერილობით, ასევე ვერბალურ რეკომენდაციებს. სპეციალური მასწავლებლის მიერ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით ადგენს ინტერვენციის გეგმას, რომელიც ეხმარება მასწავლებელს საგნობრივი მიზნების მიღწევაში. ინტერვენციის გეგმის შესაბამისად სპეციალური მასწავლებელი ინდივიდუალურად მუშაობს სსსმ მოსწავლესთან რესურს ოთახში. აქტივობების დაგეგმვისას გათვალისწინებულია მათი შესრულების შესაძლებლობა როგორც კლასში, ასევე სახლში მშობლის/მეურვის მხარდაჭერით. ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი სპეციალისტების ორგანიზებით ტარდება შეხვედრები ცნობიერების ამაღლების მიზნით მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან და მშობლებთან.

ინდიკატორის (4.2.3.2.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ბრძანება_ინკლუზიურის ჯგუფის შექმნის შესახებ;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;
- ისგ ჯგუფის შექმნის ბრძანება;
- ისგ სამოქმედო გეგმა.

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე.

ინდიკატორის (4.2.4.1) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;

ინდიკატორის (4.2.4.2) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს. თუმცა ამ ეტაპზე სკოლა არ სთავაზობს ფასიან არასავალდებულო ხასიათის მომსახურებას კლუბებისა და წრეების სახით.

ინდიკატორის (4.2.4.3) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლის შედეგები.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

19.12.2025

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ქეთევან ბოტკოველი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ზაზა ჭანტურია